ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

cfvif,fsb7 @) vfhnb7 @)!@ 167 (5757) afcb5 #) stshb

20 მარტიდან
ახალი თაობა" +
ყურბან საიდის
ცნობილი რომანი
ალი და ნინო"
$ კფ3ბ



# გილაურის ხელფასი 126 ათასია, ზღულაძის — 107 ათასი, კუბლაშვილის — 127 ათასი





გვ. 3



## ქვემო ქართლში ბორჩალოს საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნიან

გვ. 6

## მედვედევმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა გააუქმა



გვ. 4



## შალვა ნათელაშვილი: მერაბიშვილი და ადეიშვილი პალმა დე მალიორკაში გასაქცევად ემზადებიან"

გვ.2



## მიხეილ სააკაშვილი: პუტინი ქართველ ხალხს ვერ იყიდის"

გვ.2

## გია ცაგარეიშვილი: ქიაბერაშვილის გამინისტრება არჩევნებს უკავშირდება"

გვ.4



რა რჩევებს აძლევს უმრავლესობა ახალ მინისტრს

## რატომ ჩამოვიდა საქართველოში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

გვ.7



ვფ[ფქბ სფჯ,ფ4+
გფეფჯზჴ
* კფ3ბ
&3ფ3ნბლფყ



ISSN 1987-9385

2 შევარდნაძე: ქართულ-რუსული ურთიერთობა ოქტომბერში გაირკვევა"

3 გიორგი ტულუშმა კობა სუბელიანს დევნილი ქალის დაბინავება მოსთხოვა

5 მამუკა გიორგაძე: სააკაშვილი თურქების ინტერესების გამტარებელია"

7 ივანიშვილი და სააკაშვილი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს

# შევარდნაძე: ქართულ-რუსული ურთიერთობა ოქტომბერში გაირკვევა“

საქართველოს ექს-პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მტკიცებით, ხელისუფლებაში მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემთხვევაში, რუსეთს საქართველოსთან ურთიერთობა გაუმარტივდება. ეს განცხადება შევარდნაძემ „ვზგლიად“-ის კორესპონდენტთან საუბრისას გააკეთა.


ედუარდ შევარდნაძე

შესაბამისად, ექს-პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა შემოდგომაზე საქართველოში დაგეგმილი არჩევნების შემდეგ გაირკვევა.

შევარდნაძე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის მიერ ვლადიმერ პუტინისთვის პრეზიდენტად არჩევის მილოცვის ფაქტს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენის გზაზე წინ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებს.

**ნიუსპრესი**

# მიხეილ სააკაშვილი: პუტინი ქართველ ხალხს ვერ იყიდის“

ვლადიმერ პუტინი მილიარდებით ქართველ ხალხს ვერ მოისყიდის. ამის შესახებ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის საინფორმაციო მომსახურების ცენტრში სტუდენტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის ახლადარჩეული პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ რუსეთის არჩევნების შემდეგ, მისთვის მნიშვნელოვანი საქართველოში დაგეგმილი არჩევნებია.



– გამოყვეს ახლა მილიარდები და ამბობენ მაგათ ყიდვას რა უნდაო. პუტინი ვერასოდეს გაიგებს ქართველი ხალხი რატომ არ გაიყიდება შემოდგომაზე, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობისა და „ჩემი თავი ჩემადვე მეყუდვნის“ გემო გაიგო და აღარასდროს გაიყიდება.

– შეიძლება იყო რუსეთივით დიდი, მაგრამ ქაოსი იყოს შენს ქვეყანაში და შეიძლება იყო საქართველოსავით პატარა და გქონდეს ისეთივე წესების ქვეყანა, როგორც არის ჰოლანდია და სინგაპური. როდესაც წესების ქვეყანა ხარ მაშინ რთულია უწესობის ჩადენა, – განაცხადა პრეზიდენტმა.

**ნიუსპრესი**

# შალვა ნათელაშვილი: მერაბიშვილი და ადეიშვილი პალმა დე მალიორკაში გასაქცევად ემზადებიან“

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი იმ ოფშორულ ზონას ასახელებს, სადაც სააკაშვილის გაღლეტილი მინისტრები საკუთარ ქონებას აგროვებენ. შალვა ნათელაშვილი დარწმუნებულია, რომ ადეიშვილი და მერაბიშვილი პალმა დე მალიორკაზე გაიქცევიან, სადაც სახლები აქვთ შეძენილი.**

შორენა კოწოწაშვილი

გაუჩნდა თუ არა მერაბიშვილს პოლიტიკური ამბიციები, ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ვანო მერაბიშვილი და სად შეხვდა ის რუსეთის წარმომადგენელს? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე **შალვა ნათელაშვილთან.**

***– ბატონო შალვა, მოდით, სააკაშვილისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას – კორუფციას შევეხოთ. მართლაც ისეთი არაკორუმპირებული და ღარიბია მთავრობა, როგორც ამას პრეზიდენტი წარმოაჩენს? რატომ მოიფრიალა სააკაშვილმა ჩინოვნიკების სახლების ფოტოები და მართლაც გაღლეტილები არიან შს მინისტრი მერაბიშვილი და იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი?***

– მერაბიშვილიც და ადეიშვილიც ოფიციალური მილიარდერები არიან. აკონტროლებენ არაერთ მსხვილ ბიზნესს. მთელი საწვავი და ბენზინით ვაჭრობა ვანო მერაბიშვილისაა. ამ ბიზნესშია დამნაშავე კეზერაშვილიც. კახეთში მთელი ბიზნესი ადეიშვილისაა და მისი ოჯახის წევრების. ოფშორულ ზონებში აქვთ გადატანილი ძალიან დიდი ფული. ძირითადად პანამაში. პანამა ოფშორია და იქ ვერ შედის ვერანაირი კონტროლი. სახლები აქვთ ნაყიდი ევროპაში. იცით, როგორ ყიდულობენ? ფირმას არეგისტრირებენ იმ ქვეყნის მოქალაქის გვარზე და იმ ფირმის სახელზეა ეს სახლი. ვერ გაიგებ, იქ როდის ჩავა ადეიშვილი დასაძინებლად, მაგრამ ის, რომ კემბრიჯში 100 000 ფუნტ სტერლინგს შვილის სწავლაში იხდის, ეს ცხადზე ცხადი ფაქტია.

***– ეს გასაგებია, თუმცა პრეზიდენტმა თქვა, მამისეულ სახლს ერთი აგურიც ვერ შემატაო.***

– მამისეული სახლი რათ უნდა, პალმა დე მალიორკაზე აქვს სასახლეები და კანარიის კუნძულებზე. რათ უნდა მამამისის სახლი. რა აგური უნდა შემატოს. ეგენი ხომ აქაურები არ არიან. ესენი გაქცევას აპირებენ. ამიტომ მთელი ქონება, უძრავი და მოძრავი დაგროვილი აქვთ საზღვარგარეთ. აქ სახლი გვჭირდება ჩვენ, ვინც ვერსად ვერ წავალთ. აგერ კედელზე ჩემი სახლის სურათი. ეს არის ერთადერთი სახლი მთელ სამყაროში, რომელიც ჩემი გემოვნებით გავაკეთე.

***– ანუ სააკაშვილის მხრიდან აპელირება იმაზე, რომ მერაბიშვილის ოჯახი ერთი კამაზით დადიოდა და შს მინისტრის ოჯახი დღესაც უდეში ცხოვრობს, მერაბიშვილის არაკორუმპირებულობას აქარწყლებს?***

– რას ლაპარაკობთ, ვანო მერაბიშვილისაა მთელი შავიზღვისპირა ზოლი, სადაც მერაბიშვილმა უკვე ჩამოასახლა 20 000 თურქი. მთელი ბუნგალოები, რესტორნები იქ ვანო მერაბიშვილისაა. რათ უნდათ, დავით კეზერაშვილის სახლი რომ აჩვენეს. ეს სახლი არაფერია. რაც იმ სურათზე იყო, იმაზე დიდი სახლი მე მაქვს. კეზერაშვილისაა მთელი ლას ვეგასი. ლას ვეგასის ყველა 7 ვარსკვლავიანი სასტუმრო არის კეზერაშვილის განკარგულებაში, სადაც ის ყოველდღე გდია. ასეულობით მლნ დოლარი იხარჯება მაგის ჩასვლა-ჩამოსვლაზე.

***– ეს ინფორმაციები სანდო წყაროებიდან გაქვთ?***

– რა თქმა უნდა. ვიცით, რომ კეზერაშვილმა აქედან წაღებული 80 მლნ დოლარი ისრაელის განვითარების ფონდში შეიტანა, როგორც ისრაელის მოქალაქემ.

***– ეს ინფორმაციები ერთ დღეს ხომ გახმაურდება და საზოგადოება ამ ხელისუფლების ფინანსურ მაქინაციებს გაიგებს. სააკაშვილის ეს ჟესტი პრევენცია იყი საპარლამენტო არჩევნების წინ, რომ ადეიშვილის და მერაბიშვილის მხრიდან ღალატი არ იყოს?***

– ამ ადამიანებს სააკაშვილი მანამდე მართავს, სანამ მათ პოლიტიკური ამბიციები წარმოეშობათ, პირველობის ამბიცია. ასე იყო ირაკლი ოქრუაშვილიც. ოქრუაშვილი ხომ იყო უწესიერესი და უსპეტაკესი, სანამ სააკაშვილთან იყო, მერე, რა თქვა მასზე სააკაშვილმა? ფული შეუყვარდაო. ეს თქვა მაშინ, როცა უკვე პირველობის ამბიცია შეატყო. მანამდე სააკაშვილი ამას თავის გუნდის წევრებს ვერ ატყობს, სანამ ესენი ჯერ მის წინ კინკილაობენ. სააკაშვილს მარტო 25 მლნ დოლარის საათების კოლექცია აქვს. ეს, ოქრუაშვილის განცხადების თანახმად, რომელსაც საკუთარი თვალით აქვს ნანახი ამ საათების კოლექცია.

***– ფაქტობრივად ყველა პოლიტიკოსი თანხმდება, რომ მერაბიშვილს პოლიტიკური ამბიციები არ აქვს. თუმცა დღეს კულუარებში საუბრობენ, რომ მერაბიშვილი პარტიას ქმნის.***

– მერაბიშვილს აქვს მსგავსი მოლაპარაკებები არამარტო რუსეთთან. ჯერ ერთი, მერაბიშვილი ამას წინათ რუსეთის შს მინისტრს ერევანში შეხვდა. ერთ-ერთი მალალჩინოსნის გარდაცვალების თარიღი იყო ამ შეხვედრის ფორმალური მიზეზი. ეს შეხვედრა საიდუმლო ვითარებაში შედგა, თუმცა, ჩვენ მაინც გავიგეთ და გავახმაურეთ. მე ვიცი, რომ მერაბიშვილი მუდმივ კონსულტაციებში და მუდმივ კავშირშია ბიძინა ივანიშვილთან. ესენი არიან განუყრელი მეგობრები და პირადად აქებს მას ივანიშვილი. ყველამ ვიცით, რომ არაერთხელ შეაქო ივანიშვილმა მერაბიშვილი, როგორც კარგი მენეჯერი, რომელსაც ხსნიდნენ და ამის წინააღმდეგი ივანიშვილი წავიდა. ბიძინა ვანიშვილი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, ვანო მერაბიშვილს უფლება აქვს პარტია შექმნას და პოლიტიკური საქმიანობა დაიწყოსო. ვერც მალავენ ამ კავშირს. მათ შორის კონსულტაციები მუდმივად მიდის.


შალვა ნათელაშვილი

***– ანუ მერაბიშვილი ამერიკულ ძალებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს და რუსულ პოლიტიკურ ძალებთანაც?***

– კი. ორივესთან, განაპოვსკის ვეძახი მას. ხომ იცით განაპოვსკი ვინ არის? ჟვანიას ნათესავი – დები ჰყავთ ცოლად. ეს არის ცნობილი რუსი ებრაელი, დემაგოგი და უნიჭიერესი კაცი „ეხო მასკვის“ მთავარი წამყვანი. ჯერ თავიდან ურტყამდა ამათ, ჟვანია მოკლესო. მერე მერაბიშვილმა იმდენი ფული მისცა ჩეჩქად, რომ დღეს ვანო მერაბიშვილის პირველი ხოტბის შემსხმელია. ქართული პოლიციის რეფორმის პროპაგანდისტია მთელ მსოფლიოში.

***– ანუ ხელისუფლების მმართველ გუნდში ქვედა დინებები გააქტიურდა და პრეზიდენტი მერაბიშვილის იმედად აღარ უნდა იყოს არჩევნებზე?***

– როგორ გითხრათ, ამ წუთში ეს ერთი გუნდია. თუ დაინახავენ, რომ სააკაშვილის პოზიციები მოირყა ვაშინგტონში და ამერიკიდან ისეთი მხარდაჭერა არ არის, რაც ამ წუთისთვისაა, მაშინ, რასაკვირველია, თავს უშველიან. როგორც ვირთხებს სჩვევიათ, გაიქცევიან. მაგრამ ჯერჯერობით ეს საფრთხე არ არსებობს. ჯერჯერობით ამერიკა მკვეთრად უჭერს მხარს მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილი ეყრდნობა ამერიკის უძლიერეს მორალურ, პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას. შს სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და ყველა უწყება სავსეა ამერიკელი მრჩევლებით, რომლებიც წყვეტენ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს. ესენი არიან შირმა – მერაბიშვილიც, ადეიშვილიც, სააკაშვილიც არის შირმა, რომ საქართველოც ხელისუფლება ხართ. მაგრამ სინამდვილეში, რეალურად რომ გითხრათ, საქართველოს მართავენ ამერიკელი მრჩეველები. შესაბამისად, სრულებით არ არის დამოკიდებული სააკაშვილზე, ადეიშვილსა და იგივე მერაბიშვილზე, რა მოხდება საქართველოში ან რა დატრიალდება მათ თავს.

# ალასანია ზუგდიდში ბანდფორმირებებთან დაკავშირებული განცხადების შესახებ განმარტებას დღეს გააკეთებს

ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, თავისუფალი დემოკრატების ლიდერი ირაკლი ალასანია ზუგდიდში უკანონო, ბანდფორმირებებთან დაკავშირებულ განცხადების შესახებ განმარტებას თვითონ გააკეთებს.


ირაკლი ალასანია

როგორც ფანჯიკიძემ დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე აღნიშნა, ალასანიას ბრიფინგი, სავარაუდოდ, დღეს გაიმართება.

– იგი ყველა კითხვას თვითონ უპასუხებს, მე მეტს ვერაფერს გეტყვით, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

შეგახსენებთ, რომ უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრისას ალასანიამ აღნიშნა, რომ ხელისუფლება ზუგდიდში უკანონო ბანდფორმირებებს აყალიბებს.

**მედიანიუსი**

# პროფესიული განათლებისთვის 1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემა დაიწყო

პროფესიული განათლებისთვის 1000 ლარიანი ვაუჩერების გაცემა დაიწყო. პროფესიული განათლების მიღების მსურველები სახელმწიფოსგან 1000 ლარიან ვაუჩერს მიიღებენ და სასურველ სასწავლებელში ისწავლიან. პროფესიული განათლების მიღების მსურველთა საგაზაფხულო რეგისტრაცია, რომელიც 20 აპრილამდე გაგრძელდება, თბილისის გარდა, ქუთაისისა და ქობულეთის საინფორმაციო ცენტრებშიც მიმდინარეობს, სადაც დაინტერესებული პირები რეგისტრაციის გავლამდე ყველა საჭირო ინფორმაციას იღებენ.

პროფესიული განათლების ვაუჩერული დაფინანსებისათვის სახელმწიფომ 7 მილიონი ლარი გამოყო, რაც 7 000 ადამიანს საშუალებას მისცემს ისწავლოს, იშრომოს, გახდეს პროფესიონალი და დასაქმდეს. ვაუჩერით სრულად დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი სტუდენტები, ასევე, მიმდინარე წლის ცხრაკლასდამთავრებულები და მეთორმეტეკლასელები, რომელთაც სკოლის დამთავრების შემდეგ გადაწყვიტეს დაეუფლონ პროფესიულ განათლებას.

პროფესიულ კოლეჯებში მიღებული განათლებით სტუდენტებს დასაქმების რეალური საშუალება ეძლევათ, განახლებულ და თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ პროფესიულ კოლეჯებში ახალი, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიები ისწავლება. სახელობო პროგრამებს გადამზადებული პედაგოგები და დარგის სპეციალისტები ასწავლიან.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ თბილისის საინფორმაციო ცენტრს ეწვია, სადაც მომავალი პროფესიული სტუდენტების რეგისტრაცია და ვაუჩერული დაფინანსება მიმდინარეობს. პირველი მსურველი სოციალურად დაუცველი ოჯახიდან მიხეილ სააკაშვილმა პირადად დაარეგისტრირა და სასწავლო ვაუჩერი გადასცა.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# გილაურის ხელფასი თვეში 126 ათასია, ზღულაძის — 107 ათასი, კუბლაშვილის — 127 ათასი

შალვა ჯოხაძე

**ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა, მაია ფანჯიკიძემ, გუშინ ხელისუფლების სავარაუდო გეგმის შესახებ ისაუბრა. ამ გეგმის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილი ბიძინა ივანიშვილს სულ რამდენიმე დღეში საქართველოს მოქალაქეობის მიცემაზე უარს ეტყვის და ამის მიზეზად მის უკანონო საქმიანობას დაასახელებს. „ქართული ოცნების“ ხალხის დაწიოკებაც იმისათვის სჭირდება, რომ საქმელად ჰქონდეს, ივანიშვილი უკანონობას სჩადის და მოქალაქეობაც ამიტომ არ ეკუთვნისო.**

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, მაია ფანჯიკიძის განცხადებით, კონტროლის პალატა მათ მხარდამჭერებს და აქტივისტებს, ასევე, სრულიად აპოლიტიკურ ადამიანებს, საყოველთაო დაკითხვებს კვლავაც უწყობს. ფანჯიკიძის შეფასებით, ესაა დაშინება და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ასე ციხეშიც კი არ ექცევიან პატიმრებს.

— ღირსების შემლახველი მეთოდებით აიძულებენ, თქვან ისეთი რაღაცები, რაც ბუნებაში არ არსებობს. ესაა დაშინება, გაშიშვლება, 2-3-საათიანი დაკითხვები, რაც არის სრულიად უკანონო. ეს ყველაფერი ყოველგვარ გონივრულ ზღვარს სცდება. ჩვენი მხარდამჭერების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, ხელისუფლება ამით მაინც ვერაფერს მიაღწევს. ცხადია, ეს რითაა გამოწვეული. ეს არის პანიკური შიში სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების, რომ არჩევნებში ისინი დამარცხდებიან, მაგრამ ჩვენ ყველა ჩვენს აქტივისტს დავიცავთ, ყველას მოვუწოდებთ, რომ არ შეშინდნენ, გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა. ეს ყველაფერი არავითარ შემთხვევაში არ დარჩება უპასუხოდ, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძის თქმით, რამდენიმე დღის წინ დიპლომატებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მათ სხვადასხვა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრეს. მაგალითად, შეეხნენ იმ საკითხს, რომ კონტროლის პალატა დაკითხვაზე ხალხს გაყალბებული უწყებებით იბარებს. უწყება დაბეჭდილი არ არის ბლანკზე, უნომროა. მეტიც, მაია ფანჯიკიძის თქმით, მათ სამ სხვადასხვა ქალაქში გაგზავნილი უწყებები აქვთ, რომლებზეც პასუხისმგებელი პირის, კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილის, გიორგი ამირანაშვილის სამი სხვადასხვანაირი ხელმოწერაა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გაყალბებასთან გვაქვს საქმე და ნათია მოგელაძის მოადგილის ნაცვლად, ოფიციალურ უწყებაზე ხელს სულ სხვა ადამიანები აწერენ!

მოგეხსენებათ, მოგელაძის უწყების მიღების შემდეგ დასაკითხად ვინც არ გამოცხადდა, მათი ძალით დაკითხვის ფუნქცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ აიღო საკუთარ თავზე. მაია ფანჯიკიძის თქმით, ვინც დაკითხვაზე არ გამოცხადდა, მათ სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებით დაემუქრნენ.

მაია ფანჯიკიძე ყურადღებას ამახვილებს გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნისტი ინთერნეიშენალისა“ და საქართველოში აშშ-ის ელჩის, ჯონ ბასის განცხადებებზეც, რომლებმაც მოგელაძის უწყება გაკიცხეს. „ემნისტი ინთერნეიშენალმა“ პირდაპირ განაცხადა, რომ საქართველოს კონტროლის პალატამ პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს იმ გამოძიების პროცესში, რომელსაც ის პოლიტიკურ დაფინანსებასთან დაკავშირებით აწარმოებს. ორგანიზაცია მოუწოდებს კონტროლის პალატას და საქართველოს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს, კანონის ფარგლებში ჩაატაროს, დაკითხვა წარმართოს ადამიანის უფლებების სრული პატივისცემით. ჯონ ბასმა კი აღნიშნა, რომ შეწუხებულია იმ ვითარებით, რომელიც ახლავს კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებს. სრულფასოვანი განმარტებების ნაკლებობა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც კონტროლის პალატა ახორციელებს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას, ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას ამ უწყების, ან კონკურენტული საარჩევნო გარემოს მიმართ.

ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლების შეფასებით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატების ეს პირდაპირი განცხადებები ბევრს ნიშნავს.

— ეს ასე არ დამთავრდება და ყველა აგებს პასუხს იმ დანაშაულებისათვის, უკანონობისათვის, რასაც ჩვენი მხარდამჭერების მიმართ სჩადიან, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც კონტროლის პალატას ეხება. რამდენიმე დღის წინ პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა განცხადება გაავრცელა.

— მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად პოლიტიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ფინანსები ექვემდებარება სრულ გამჭვირვალობას და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას. პოლიტიკური სუბიექტები პოლიტიკურ ხარჯებს უნდა ახორციელებდნენ კანონის შესაბამისად და სპეციალურად განკუთვნილი ანგარიშებიდან.

ააიპ „ქართული ოცნების“ მიერ მონიტორინგის სამსახურში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების დოკუმენტაციების თანახმად, ამ ორგანიზაციის პოლიტიკური გუნდის წევრთა უმრავლესობა არ იღებს სახელფასო ან სხვაგვარ ანაზღაურებას ამ ორგანიზაციიდან. დამატებითი კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული პირები პირად დაფინანსებას იღებენ ფიზიკური პირის, ბიძინა ივანიშვილის პირადი ანგარიშიდან.

დაფინანსების საერთო ოდენობა შეადგენს 406 000 ლარს, — განაცხადეს კონტროლის პალატაში.

მათივე ინფორმაციით, დაფინანსების ეს სქემა წინააღმდეგობაშია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და წარმოადგენს სამართალდარღვევას. მოგელაძის უწყებაში ისიც აღნიშნეს, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურში ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევის ფაქტზე შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურები ტარდება.

აღსანიშნავია, რომ კონტროლის პალატამ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაქირავებული სპეციალისტებისათვის მიცემული ხელფასების სიაც გამოაქვეყნა. ამ სიის თანახმად, ყველაზე დიდი ხელფასი ირაკლი ტრიპოლსკის აქვს, დაახლოებით 100 ათას ლარამდე. დანარჩენი თანხები 10-20 ათასის ფარგლებშია, ყველაზე მცირე ხელფასი დაახლოებით 1000 ლარი გახლავთ.

მაია ფანჯიკიძემ ამ ფაქტთან დაკავშირებითაც გააკეთა განცხადება.

— კონტროლის პალატამ გამოაქვეყნა იმ ადამიანების სახელფასო სიები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან მუშაობენ. ეს ხელისუფლება იქექება კერძო პირის, ბიძინა ივანიშვილის ჯიბეში და იკვლევს, თუ ვის რამდენი აქვს ხელფასი და ვინ რამდენი პრემია მიიღო. ეს მაშინ, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ჩვენს ფულს, სახელმწიფო ბიუჯეტს, მაგალითად, ასე განკარგავს: პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურს 51 ათასი ლარი აქვს ხელფასი, ხოლო პრემიის სახით 75 ათასი ლარი აქვს მიღებული; შს მინისტრის მოადგილე ეკატერინე ზღულაძეს ხელფასი 35 ათასი ლარი აქვს, ხოლო პრემია — 72 ათასი ლარი; უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილს ხელფასი 49 ათასი ლარი ეძლევა, ხოლო პრემია — 78 ათასი ლარი.

როგორც ხედავთ, „ქართული ოცნების“ კოალიციის წევრებისა და ბიძინა ივანიშვილის მიერ კერძო ხელშეკრულებებით დაქირავებულ პირთა ხელფასს ბევრად აღემატება იმ სახელმწიფო მოხელეების ხალფასი, რომლებიც ამ ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ. რატომ არ ინტერესდება კონტროლის პალატა ამ თემებით და რაში აინტერესებს, კერძო პირი ბიძინა ივანიშვილი კერძო ხელშეკრულების საფუძველზე რას უხდის თავის მრჩევლებს, იურისტებს, კონსულტანტებსა და ა.შ., — აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძის შეფასებით, კიდევ უფრო მეტი დანაშულია ის, რომ პირადად სააკაშვილმა ბოლო ორი წლის განმავლობაში 105 მილიონი ლარი დახარჯა და თავს უფლებას აძლევს, საზოგადოებას არ განუმარტოს, თუ რისთვის და რაში დაიხარჯა ეს ფული.

— ამიტომაც, ევროპულ და ამერიკულ გამჭვირვალობაზე და საერთაშორისო სტანდარტებსა და კორუფციასთან ბრძოლაზე საუბარი სასაცილოა და დარწმუნებული ვარ, ამის უკვე აღარავის სჯერა, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

დიპლომატებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა ყველა ამ საკითხთან დაკავშირებით მიაწოდეს ინფორმაცია. მათ გადასცეს ის განცხადებაც, რომელშიც საუბრობენ იმ სავარაუდო გეგმაზე, რომლის თანახმადაც სააკაშვილი ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობას არ მიანიჭებს.

— საქართველოს კონტროლის პალატის მიერ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია მიმდინარეობს კონსტიტუციის უგულებელყოფითა და ადამიანის უფლებების მუდმივი უხეში დარღვევებით. 11 მარტიდან დღემდე, კონტროლის პალატა, როგორც ცალკე, ისე პოლიციასა და სხვა აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად, უკანონოდ ახორციელებს „ქართული ოცნების“ ასობით მხარდამჭერის შევიწროებისა და დაშინების ოპერაციას. რეალურად, მიმდინარეობს ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერთა პოლიტიკური დევნა.

15 მარტს კი საქართველოს კონტროლის პალატამ ჩაიდინა მორიგი უკანონობა. ამ უწყების პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოადგილემ ფიზიკური პირის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი „პოლიტიკური სუბიექტის უკანონო დაფინანსების“ გამო.

საქმე ეხება ბიძინა ივანიშვილის მიერ პირადი ადვოკატებისა და კონსულტანტებისათვის შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე გადახდილ ანაზღაურებას, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რეგულირების სფეროს არ წარმოადგენს და ბიძინა ივანიშვილსა და ამ პირებს შორის კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროა. ამის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი დაბარებული იყო საქართველოს კონტროლის პალატაში, — საუბარია განცხადებაში.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ასევე აცხადებენ, რომ უკანასკნელ პერიოდში, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული უკანონო მოქმედებები პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელისუფლებას ჩაფიქრებული აქვს, გადაუკეტოს დაფინანსების ყველა საშუალება კრიტიკულად განწყობილ პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ სუბიექტებს, რათა მოუსპოს მოქალაქეებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის ყოველგვარი სურვილი და შესაძლებლობა.

— აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენიდან დღემდე, მთელი სახელმწიფო აპარატი ამუშავებულია ისეთი ახალი კანონებისა და პრაქტიკის დასანერგად, რომელიც პირდაპირ არის მიმართული ბიძინა ივანიშვილის და მისი მხარდამჭერების წინააღმდეგ.

მეტიც, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლება ყველა ამ უსამართლობას სჩადის საბოლოოდ ერთი დიდი უკანონობისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. კერძოდ, ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვის ვადის ამოწურვამდე დარჩა 20 დღეზე ნაკლები. ხელისუფლებას არ გააჩნია არავითარი კანონიერი საფუძველი, უარი უთხრას მას საქართველოს მოქალაქედ მიღებაზე. ამიტომაც, ბიძინა ივანიშვილისათვის დიდი ოდენობით ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებით და სხვა ეგრეთ წოდებული სამართალდარღვევების აღმოჩენის გზით, ხელისუფლება ცდილობს ხელოვნურად შექმნას საფუძველი, რომ ბიძინა ივანიშვილი საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის და ამიტომ არ ანიჭებს მას საქართველოს მოქალაქეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, რათა არ მისცეს ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში, — აღნიშნულია განცხადებაში.



მაია ფანჯიკიძე

# გიორგი ტუღუშმა კობა სუბელიანს დევნილი ქალის დაბინავება მოსთხოვა

შალვა ჯოხაძე

## ქალბატონი 3–კვადრატულმეტრიან ჯიხურში ცხოვრობს

**სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს, კობა სუბელიანს რეკომენდაციით მიმართა.**

ომბუდსმენმა მინისტრს მოუწოდა, სუსანა მაქაცარია უმოკლეს ვადაში საცხოვრებელი ფართით დააკმაყოფილოს. ტუღუშის თქმით, ქალბატონი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია და ფაქტობრივად, საცხოვრებელი პირობები არ გააჩნია.

— 13 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა დევნილმა სუსანა მაქაცარიამ. მისი განმარტებით, იგი წლების განმავლობაში ცხოვრობს ე.წ. კერძო სექტორში. ეს დასტურდება განმცხადებლის მიერ სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობით, სადაც მაქაცარიას დროებით საცხოვრებელ ადგილად მითითებულია: თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ხორნაბუჯის №29. განცხადების თანახმად, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, სუსანა მაქაცარიამ საცხოვრებელი დატოვა და ამჟამად ცხოვრობს ჯიხურში, მძიმე პირობებში და საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას ითხოვს, — აცხადებს ტუღუში.

სახალხო დამცველის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა №4-ში, სადაც შეფარებულია ქალბატონი. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ მაქაცარია ნამდვილად ცხოვრობს უკიდურესად მძიმე პირობებში, კერძოდ — ჯიხურში, რომლის ფართი დაახლოებით 3 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მასში არ არის სველი წერტილები და ცხოვრებისათვის აუცილებელი სხვა მინიმალური პირობები. განმცხადებლის თქმით, მან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების თაობაზე, 2008 წლის 11 მაისსა და 2010 წლის 24 მარტს განცხადებებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, თუმცა მისი დაკმაყოფილება ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დღემდე არ მომხდარა.



გიორგი ტუღუში

# მედვედევმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა გააუქმა

**დაახლოებით ერთი წლის წინ, აფხაზური ოპოზიციის ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი განცხადებით, ძალიან მალე აფხაზეთი დამოუკიდებლობას დაკარგავდა და რუსეთის გუბერნია გახდებოდა. მისგან ასეთ განცხადებას ნამდვილად არავინ ელოდა. ის ხომ გამოკვეთილად რუსეთის კაცი გახლავთ. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მას პირადად ვლადიმერ პუტინი უჭერდა მხარს. არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე კი, მას თავისი ხელით დაარიგა გენერლის სამხრეები.**



თეა მარხვაიძე

საპრეზიდენტო არჩევნები მართალია ვერ მოიგო, მაგრამ რუსეთის რჩეული ბოლომდე დარჩა. არც თავად დაპირისპირებია რუსეთს. ის განცხადება კი აწ გარდაცვლილი ბაღაფშის საწინააღმდეგოდ გააკეთა. თან ისე წარმოაჩინა სიტუაცია, თითქოს ბაღაფში რუსეთს ატენიდა აფხაზეთს.

ასე იყო თუ ისე, რაულ ხაჯიმბას წინასწარმეტყველება ახდა. რამდენიმე დღის წინ რუსეთის პრეზიდენტმა აფხაზეთში თავისი გუბერნატორი დანიშნა. ეს პოსტი, როგორც მოსალოდნელი იყო, კრასნოდარის მხარის გუბერნატორ ალექსანდრე ტკაჩოს ერგო.

ტკაჩოვი ამ ფუნქციას ისედაც ასრულებდა. აფხაზურ ფრონტზე მისი გააქტიურება თვალშისაცემი 2004-2005 წლებში გახდა. მაშინ აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა. სერგეი ბაღაფშმა კრემლის ფავორიტი დაამარცხა. ამან ალექსანდრე ტკაჩოვი განარისხა. ისე გაბრაზდა, თქვა, თუ მეორე ტურში ისევ ბაღაფში მოიგებს, პენსიებს ვერ ეღირსებითო. ცნობისათვის, აფხაზი პენსიონერები პენსიას კრასნოდარის მხარიდან იღებენ. ამის გარდა, ტკაჩოვმა აფხაზურ მანდარინსაც დაადო ემბარგო. თუმცა ამან ვერ გაჭრა და აფხაზებმა თავისი არჩევანი არ შეცვალეს.

ბაღაფშის პრეზიდენტობის დროს ის აქტიურად აღარ ჩარეულა აფხაზეთის შიდა ამბებში. ეს არც ანქვაბის ხანაში შეინიშნებოდა. ამიერიდან კი აფხაზეთის შიდა საქმეებში ჩარევა ტკაჩოვის პირდაპირი მოვალეობაა. ის აფხაზეთში რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი, იგივე გუბერნატორია.

გუბერნატორებს კი დამოუკიდებელ ქვეყნებში არ ნიშნავენ. ამიტომაც ამბობენ ქართველი ექსპერტები, რომ მედვედევმა აფხაზეთი თავის გუბერნიად უკვე ღიად გამოაცხადა.

„ექსპერტთა კლუბის" ექსპერტი ირაკლი ცქიტიშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა გააუქმა.

– რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთში ერთდროულად ახალი თანამდებობა გაჩნდა – რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი აფხაზეთში. მე-19 საუკუნის პოლიტიკურ ლექსიკონში ასეთი თანამდებობა იწოდებოდა როგორც „მეფისნაცვალი", თანამედროვეში – „გუბერნატორი". 2012 წლის 16 მარტს ამ თანამდებობაზე დაინიშნა კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩოვი – ის შეითავსებს ორივე თანამდებობას. ტკაჩოვის ამ თანამდებობაზე დანიშვნას „ინსტრუქცია" არ მოჰყოლია – რა ფუნქციონალური მოვალეობები დაეკისრება აფხაზეთთან ურთიერთობაში, რომლის „დამოუკიდებლობაც" მოსკოვმა ცნო 2008 წელს საქართველოზე განხორციელებული მორიგი თავდასხმისა და მორიგი ეთნიკური წმენდის შემდეგ, მხოლოდ უკვე სხვა ოკუპირებულ რეგიონში – ცხინვალის. ამიტომ, ანალიტიკოსებს მოუწევთ „ტვინის ჭყლეტა", რათა ამ დანიშვნის რეალური მიზნები გაიგონ. მით უმეტეს, რომ აფხაზეთში უკვე ეწევა თავის საქმიანობას „რუსეთის ელჩი" სემიონ გრიგორიევი, – მიიჩნევს ქართველი ექსპერტი.

ირაკლი ცქიტიშვილის განმარტებით, ტკაჩოვის დანიშვნა ერთ სერიოზულ იურიდიულ ნონსესს შე-

– ერთი ქვეყნის პრეზიდენტი ნიშნავს თავის სპეცწარმომადგენელს სხვა ქვეყანაში (ასეთად განიხილება, ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთი რუსეთში ოფიციალურ დონეზე). ამ ინფორმაციით შოკირებული აფხაზები სრულიად სამართლიან კითხვას სვამენ – ჰყავს კი რუსეთის პრეზიდენტს სპეციალური წარმომადგენელი აშშ-ში? მაგრამ აფხაზეთი აშშ არაა და როგორც ჩანს, „დამოუკიდებელი აფხაზეთი" რუსეთის გუბერნიის სტატუსამდეც ვერ „ქაჩავს", წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ახალ თანამდებობას მოქმედ გუბერნატორს არ შეუთავსებდნენ, – მიაჩნია ცქიტიშვილს.

ექსპერტის განმარტებით, ტკაჩოვის დანიშვნა ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებულია სოჭის ოლიმპიადასთან, რომლის ჩატარებაც 2014 წელსაა დაგეგმილი. დარჩენილია სულ რაღაც ორიოდე წელი და რუსეთმა მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მიმართოს, რათა ყველაფერი შესაბამის დონეზე ჩატარდეს, ამავე დროს, ეს ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებულნი ოკუპირებულ ტერიტორიაზე სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

რაში სჭირდებოდა მედვედევს გუბერნატორის დანიშვნა, როდესაც მას ჰყავდა „ელჩი", რომელსაც მშვენივრად შეეძლო გადაეცა აფხაზი ლიდერებისთვის რუსეთის პრეზიდენტის დანაბარები? რატომ მაინცდამაინც ტკაჩოვი?

– ალექსანდრე ტკაჩოვი პუტინის კაცია. პუტინს კრემლში მოსვლასთან ერთად თავისი კაცი ესაჭიროება რეგიონში, სადაც ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს – მას ხომ შეგვიძლია ვუწოდოთ „პუტინის შვილობილი". ამავე დროს ტკაჩოვს კარგად იცნობენ აფხაზეთში. უფრო კარგად კი იქ ის იციან, თუ რისი გამკეთებელია – 2004 წლის არჩევნების პერიპეტიები აფხაზეთში დავიწყებული არაა. ვისაც დაავიწყდა, შევახსენებთ, რომ მას შემდეგ რაც აფხაზებმა უარი განაცხადეს პუტინის მიერ თავსმოხვეული რაულ ხაჯიმბას კანდიდატურის მხარდაჭერაზე და ხმა სერგეი ბაღაფშს მისცეს, პუტინმა ტკაჩოვის ხელით უმკაცრესი ბლოკადა დაუწესა. სწორედ ამ პერიოდში ერთადერთხელ იწვნიეს აფხაზებმა ბლოკადისა და რუსეთის მათდამი დამოკიდებულების ყველა სიამოვნება მთელი მათი „დამოუკიდებლობის" პერიოდში. ასე რომ, ალექსანდრე ტკაჩოვისთვის ძალისმიერი ზეწოლის მეთოდები უცხო არ არის. ეს ფაქტი კი უფრო საინტერესოა იმით, რომ აფხაზეთის დღევანდელი ლიდერი ალექსანდრე ანქვაბი სწორედ ბაღაფშის საქმის გამგრძელებელი და მისი ყოფილი გუნდის წევრია, – აღნიშნავს „ექსპერტთა კლუბის" წარმომადგენელი.

მისი განმარტებით, „ელჩი" გრიგორიევისგან განსხვავებით, რომელიც თავისი ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე დიპლომატია და თავის საქმიანობას მკაფიოდ გამოკვეთილი ჩარჩოების ფარგლებში ახორციელებს, ტკაჩოვისთვის კანონი მხოლოდ პუტინია. სხვა არაფრით იქნება ის შებოჭილი თავის საქმიანობაში.

– შესაბამისად, ის საკმაოდ გასაგებ ენაზე და ნებისმიერი მეთოდებით დაიყვანს აფხაზ ლიდერებამდე კრემლის პოზიციას. პირველ რიგში იმიტომ, ოლიმპიადამდე ცოტა დრო რჩება, საქმე კი გასაკეთებელია და დრო სხვადასხვა აფხაზურ ინსინუაციაზე მოსკოვს არ გააჩნია, მეორეც – ტკაჩოვს შეუძლია საჭირო სიმკაცრე გამოიჩინოს საკითხის დაყენებისას აფხაზეთის ლიდერების წინაშე. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტკაჩოვის გამოცდილება ტერიტორიების გადანაწილების საკითხში, რაც ადიღეს კრასნოდარისთვის მიერთების მცდელობებში გამოიხატა, თუმცა ბოლომდე საქმე მაინც ვერ მიიყვანა. ანქვაბს ამ სიტუაციაში ისღა დარჩენია, რომ ეძებო საკუთარი ხალხისთვის იმ გადაწყვეტილებათა გამართლების საფუძვლები, რომელთა მიღება მას მოუწევს „ზემოდან" ზეწოლის გამო, – აღნიშნავს ცქიტიშვილი.

ირაკლი ცქიტიშვილის თქმით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობას ოფიციალურად გააუქმებს.

– ოფიციალურად რუსეთი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას უკან არ წაიღებს. შესაბამისად, გრიგორიევის „საელჩო" განაგრძობს ფუნქციონირებას, თუმცა ამას წინათ უკვე გავრცელდა ინფორმაცია მისი დახურვის შესახებ. პირველ რიგში, ეს რუსეთს აარიდებს დამატებით პრობლემებს საერთაშორისო არენაზე, მეორე რიგში – მისცემს რუსეთს საშუალებას გააგრძელოს აფხაზების „დამოუკიდებლობით" სპეკულირება. თანაც ტკაჩოვმა კომენტარი გაუკეთა რა თავის დანიშვნას, განაცხადა, რომ ის, „როგორც რუსეთის მოქალაქე და აფხაზეთის საპატიო მოქალაქე", მზადაა ყველაფერი გააკეთოს, რათა „ჩვენი ქვეყნები უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს". ანუ, „ქვეყნის" სტატუსის გაუქმებას აფხაზეთისთვის, რუსეთი ამ ეტაპზე არ აპირებს.

ექსპერტის თქმით, ერთმნიშვნელოვნად ტკაჩოვის აფხაზეთის მეთვალყურედ დანიშვნა დააჩქარებს ოკუპირებული რეგიონის კრასნოდარის მხარეში ინტეგრაციის პროცესს. ასეთი გეგმები დიდი ხანია არსებობს. ადრე იმასაც აცხადებდნენ, რომ ოლიმპიადისთვის რუსეთის საზღვარმა შესაძლოა ბიჭვინთამდე გადაიწიოსო. შემდგომში ბევრჯერ იყო ამის დადასტურება და უარყოფა. მაგრამ კრასნოდარის მხარესთან მეტი ინტეგრაციის პირობებში ეს საკითხი თანდათან კარგავს აქტუალობას. საზღვარი ფსოუზე, სავარაუდოდ, სულ უფრო და უფრო მეტად დაკარგავს მკვეთრ კონტურებს და რუსული ბიზნესი და მომყოლი რუსეთის მოქალაქეები სულ უფრო და უფრო გააფართოებენ თავიანთი დისლოკაციის არეალს აფხაზეთში. ამავე პროცესში გაქრება აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებში არსებული ზოგიერთი ქვაკუთხედი – სოფელ აიბღის თემა, რომელიც მთლიანად რუსული ბიზნესის, შესაბამისად, კრემლის ხელში აღმოჩნდება და, რა თქმა უნდა, აფხაზეთში არსებული სანატორიუმების თემა საბოლოოდ დაიმარხება.

ირაკლი ცქიტიშვილის თქმით, უახლესი რამდენიმე წლის განმავლობაში მოსკოვი შეეცდება ნაცარი შეაყაროს თვალებში აფხაზებს და

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გია ცაგარეიშვილი: ჭიაბერაშვილის გამინისტრება არჩევნებს უკავშირდება"

## რა რჩევებს აძლევს უმრავლესობა ახალ მინისტრს

თეა მარხვაიძე

უკვე მეორე კვირაა საქართველოს ახალი ჯანდაცვის მინისტრი ჰყავს. ეს პოსტი თბილისის ყოფილმა მერმა, ცესკოს ყოფილმა თავმჯდომარემ ზურაბ ჭიაბერაშვილმა დაიკავა. ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს საკადრო ცვლილება მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება. მეორე ნაწილი კი ხუმრობის გუნებაზეა. ამბობენ, აქამდე ჭიაბერაშვილი ქართლის დედას სტიროდა ახლა ჯანდაცვის დედას იტირებსო.

საკადრო ცვლილებით, როგორც ყოველთვის ამჯერადაც კმაყოფილია საპარლამენტო უყმრავლესობა. შესაძლოა გულში ვინმე სხვანაირად ფიქრობს, მაგრამ ამაზე ხმას ხმამაღლა როგორ ამოიღებენ.

ჭიაბერაშვილის მიმართ აღფრთოვანება წინა კვირაში უმრავლესობის სხდომაზე გამოხატეს. გუშინ კი ახალი მინისტრს ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტში გაესაუბრნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო ამ სხდომამ სრული სიამტკბილობით ჩაიარა. პრინციპში ეს არც არის გასაკვირი. სხვა თუ არაფერი ჭიაბერაშვილი ერთი კვირაც არაა რაც მინისტრი გახდა და რაზე უნდა მოსდავებოდნენ. ექიმი რომ არ არის ჯანდაცვის მინისტრი ეს ნაციონალებისთვის პრობლემა არ არის. თანაც არაექიმი ჯანდაცვის მინისტრი უკვე გვყავდა. ასეთები ალექსანდრე კვიტაშვილი და დათო ტყეშელაშვილი იყვნენ.

ამ უკანასკნელზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ კვიტაშვილი როგორც ამბობენ კარგი მინისტრი იყო. რაკი ექიმ მინისტტრებზე ვსაუბრობთ აქ ექიმი ლადო ჭიპაშვილის არხსენება არ გამოვა.

მართალია ეს კაცი პროფესიიტ ექიმი იყო, მაგრამ ლამის ნახევარი საქართველო გულის შეტევამდე მიიყვანა. საქართველოში დღემდე ახსოვთ მისი პროგნოზი მოსახლეობის მესამედის გაწყვეტასთან დაკავშირებით.

ეს ის დრო იყო ქათმის გრიპმა რომ ჩაგვიქროლა. ბედობა დღეს, მაშინ როცა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქეიფობდა, ჭიპაშვილმა სასაფლაოს პუტიოვკა გამოგვიწერა. პირდაპირი ეთერით გამოსულმა გაწყვეტა და ამოწყვეტა გვიწინასწარმეტყველა. ჰოდა ახლა თქვით, რითი იყო ექიმი ჭიპაშვილი არაექიმ კვიტაშვილზე უკეთესი.

რაც შეეხება ჭიაბერაშვილს მის განცხადებებს სამომავლოდ შეაფასებს ერი, საუბარია ჯანდაცვის მინისტრის რანგში გაკეთებულ განცხადებებზე.თორემ ქართლის დედაზე დაწერილი მოსაზრების გამო დღემდე მის კრიტიკაში არიან.

ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტმა მას პატივისცემა დაუდასტურა და რჩევა-დარიგებებიც არ დაკლო.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ თოდუა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილს სამედიცინო აპარატურაზე მკაცრი კონტროლის დაწესებას ურჩევს.

როგორც მან პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, მინისტრობის კანდიდატთან შეხვედრისას აღნიშნა, საქართველოში არსებობს სამედიცინო დაწესებულებები, სადაც კომპიუტერული ტომოგრაფიის 20 წლის აპარატი დგას.

მისი თქმით, მსგავსი აპარატურა, 10 წელზე მეტის არ უნდა იყოს.

– გერმანიაში ვილაცა რომ გადააგდებს, მერე ჩვენთან ჩამოაქვთ, – განაცხადა ფრიდონ თოდუამ და ზურაბ ჭიაბერაშვილს ამ საკითხის რეგულაცია სთხოვა.

ფრიდონ თოდუას ჭიაბერასვილთან სხვა რჩევაც აქვს. თოდუა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილს სადაზღვევო კომპანიების დავალიანებების საკითხით დაინტერესებას სთხოვს.

მან ეს საკითხი პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთ კომიმიტეტის სხდომაზე ზურაბ ჭიაბერაშვილთან შეხვედრისას დასვა.

მისი თქმით, კომიტეტის სხდომამდე ის კლინიკის ხელმძღვანელებს შეხვდა, რომელთა წინაშეც სადაზღვევო კომპანიებს სოლიდური დავალიანებები აქვთ.



– იქნებ მოვიფიქროთ რამე, – მიმართა თოდუამ ჭიაბერაშვილს.

როგორც მის პასუხად მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, იგი პრობლემების გასაცნობად როგორც კლინიკის ხელმძღვანელებსა და მედპერსონალთან, ისე სადაზღვევო კომპანიებთან აპირებს შეხვედრას.

თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია, თუ რაში ხედავს სადაზღვევო სექტორსა და კლინიკებს შორის შექმნილი პრობლემებიდან გამოსავალს.

საპარლამენტო ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისათვის" – წევრი, ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე ზურაბ ჭიაბერაშვილის დანიშვნას მოახლოებულ არჩევნებს უკავშირებს. მან ეს განცხადება ჟურნალისტებთან საუბრისას მინისტრობის კანდიდატთან ფრაქციის მიერ გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

დეპუტატის თქმით, ჭიაბერაშვილთან გამართულ შეხვედრაზე ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრეს, კერძოდ, „გაუკუღმართებულ" სადაზღვევო სისტემაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე, ჯანდაცვის სისტემის მდგრადობასა და განვითარებაზე, პენიტენციარულ ჯანდაცვაზე, თუმცა, მინისტრობის კანდიდატი ამ სფეროებში არაფრის შეცვლას აპირებს.

– ჭიაბერაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ჯანდაცვის რეფორმა სწორი კუთხით მიჰყავს, რის გამოც ის არსებული პოლიტიკის შეცვლას არ აპირებს, – აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

დეპუტატის მოსაზრებით, ჭიაბერაშვილის რესურსი სოციალური ბიუჯეტის ხარჯვისკენ იქნება მიმართული, რითიც ხელისუფლება ამომრჩეველთა მოსყიდვას შეეცდება.

– არჩევნების წინ ასეთი ადამიანის მოძებნა მათთვის მნიშვნელოვანია, რადგან ის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუშაობდა და აღრიცხვაში, სტატისტიკასა და სრული მონაცემთა ბაზის შექმნაში კარგად ერკვევა. თუ ეს ადამიანი არაფრის შეცვლას არ აპირებს, წინა მინისტრი – ანდრია ურუშაძე რისთვის შეცვალეს – დაიღალა?, – იკითხა დეპუტატმა.

თავისი პოზიციის დაფიქსირება პოზიციას და ოპოზიციას დღესაც შეეძლება. დღეს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართება. სადაც პარლამენტი მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობას გამოუცხადებს.

მიიღებს თუ არა საპარლამენტო უმრავლესობა ადვოკატების მიერ მომზადებულ კანონპროექტს?

# მამუკა გიორგაძე: სააკაშვილი თურქების ინტერესების გამტარებელია“

**რა პოლიტიკას ატარებს სააკაშვილის ხელისუფლება თურქეთთან მიმართებაში და დანაშაულის ტოლფასია თუ არა ერის წინაშე მემედ აბაშიძის ძეგლის აღება და შლოპანცების ძეგლის დადგმა? _ ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ მამუკა გიორგაძესთან.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო მამუკა, ხელისუფლებამ იცის, რაოდენ მტკივნეულად იღებს საზოგადოება რელიგიურ თემებთან დაკავშირებულ ნაბიჯებს. წინასაარჩევნო პერიოდში ასეთ მძიმე ნაბიჯებზე რატომ მიდის სააკაშვილის ხელისუფლება?***

— საქმე ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თავისი არჩევანი დიდი ხნის წინ გააკეთა, ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნულ ინტერესების, საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის პოზიციასთან და მეორე მხრივ, მისი პატრონის, მფარველის, ხელისშემწყობს შორის. ერთი შეხედვით ალოგიკური თემა, რომ არჩევნების წინ რატომ უნდა სჭირდებოდეს მას ასეთი არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა, კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მუდმივად დგას არა ქართველი ხალხის ინტერესების, არამედ მისი პატრონის გვერდით. ამ შემთხვევაში ის, როგორც მოიყვანეს რუსეთის სპეცსამსახურების მეშვეობით დასავლეთის საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ასევე აგრძელებს მუშაობას. სააკაშვილს და მის რეჟიმს მიაჩნია, რომ ქართველ ხალხს ყველაფერს გაუკეთებს, რაც საჭირო იქნება, თუკი ეს მის პატრონს ეამება. სააკაშვილი არის რუსული ადმინისტრაცია საქართველოში, რომელიც ემსახურება ძირითადად რუსეთის ინტერესებს და რუსეთისგან ნებადართულ სხვა ქვეყნების ინტერესებსაც. დღეს სააკაშვილი ამ ნაბიჯებს იმიტომ დგამს, რომ საქართველოში მუსლიმანები მის გვერდით იდგებიან. სააკაშვილი ამ თემებს კიდევ იმიტომაც აქტიურებს, რომ კიდევ ერთხელ დაანახვოს გარეშე ძალებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ის არის ამ ეტაპზე გარანტი ამ გარე ძალების ინტერესების დაკმაყოფილებისა. ბუნებრივია, ამ პროცესში ის თავის პირადულ, კლანურ ინტერესებსაც იკმაყოფილებს. აქ არის ფინანსების თემა, თავისი კლანების დასაქმების თემა და ა.შ. სააკაშვილის მხრიდან მსგავსი ნაბიჯები პირველი შემთხვევა არ არის.

***— ანუ აქ ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენა და ქართული სიწმინდეების მოვლა-პატრონობა, მათზე ზრუნვა შირმაა?***

— ეროვნულ საგანძურზე და ისტორიულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა აქ არაფერში არ იკვეთება. თითქმის ყოველდღე, სამი-ოთხი სწლის განმავლობაში ჩვენ ტელეეკრანებიდან გვესაუბრებოდნენ ოშკის სავალალო მდგომარეობაზე. ლამის ცრემლებამდე მივყავდით იმ ვითარების გადმოცემას, რა დღეშიც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაა. ამის შემდეგ, როდესაც ფსიქოლოგიურად მოგვამზადეს, მიგვიყვანეს იმ კონდიციამდე, რომ დღეს თუ არა ხვალ, ოშკი დაინგრევა; რომ ზამთარს ოშკი ველარ გადაიტანს – შარშან ხდებოდა ეს ამბავი და სხვათა შორის, მას შემდეგ ორი ზამთარი გავიდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოშკის გადარჩენა უნდა მომხდარიყო საქართველოში აჭარის ოსმალიზაციის პროცესის ფონზე. აქ არ არის საუბარი ერთი მეჩეთის აშენებაზე. უბრალოდ, ამ შემთხვევაში ინფორმაცია ამ მეჩეთზე გავრცელდა. მაგრამ მთელი ამ 4-5 წლის განმავლობაში აჭარის ოსმალიზაციის პროცესი, და ქართული ერთიანი ცნობიერების სივრცის რღვევის პროცესი ხომ მიმდინარეობდა. უბრალოდ, ახლა მივიდა იმ კონდიციამდე, რომ ქართველმა საზოგადოებამ ეს ყოველივე დაინახა. თორემ 5 წლის წინ, ელემენტარულად როდესაც დაიწყო ბათუმში ასეთი ფართო მშენებლობები და გაპიარება ბათუმის, ჩვენ ლოგიკურად დავსვით კითხვა: არის კი ბათუმში იმდენი ეკონომიკურად მყარად ფეხზე მდგომი ადამიანი, რომ შეძლებს ელემენტარულად იმ ფართების დაკავებას, რომელიც ბათუმში შენდება. ყველა ცალსახად აცხადებდა, არა, ბატონო, ბათუმში კი არა, მთელ საქართველოში არ მოიძებნება იმდენი ადამიანი, რომელიც აითვისებდა იმ მშენებლობებს, რომელიც ბათუმში მიმდინარეობს. ისმის კითხვა: მაშინ, როდესაც ბათუმში და მთლიანად საქართველოში არ არის მყიდველუნარიანი კლიენტი, ვისთვის ვაშენებთ ამ შენობებს?! იგივე პოზიცია გვქონდა მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით. ჩვენ ვამბობდით, თუ გლეხს არ აქვს იმის საშუალება, რომ ეს მიწა შეისყიდოს და დაამუშავოს, მაშინ რატომ გაგვაქვს მიწა ბაზარზე? ის, რომ ზოგადად წარმოაჩენენ, ჩვენ მემარჯვენეები ვართ, ლიბერალები ვართ ჩვენი იდეოლოგიით და პრივატიზებაში უნდა მოხვდეს ყველა და ყველაფერი. ამ იდეოლოგიით ხდებოდა ეროვნული სიმდიდრის გასხვისების გამართლება. ბათუმში, ეს ხდება ინვესტიციებისთვის. ვითომ ბათუმის აღორძინებისთვის. ახალი კულტურული ცენტრის შექმნისთვის. ის პირობები, რომელიც შეექმნა სხვადასხვა ქვეყნის ბიზნესს, სხვა ქვეყნის ალმსარებლობის ხალხს, ბუნებრივია ადრე თუ გვიან შედეგს გამოიღებდა. ჩვენ დავინახეთ, რომ დღეს უკვე რა მდგომარეობაა ბათუმში. ხდება თურქული რელიგიური ინტერესების, ბიზნესის ბოლომდე ხელის შეწყობა. ეს ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის წინაალმდეგ დგამს ნაბიჯებს.


მამუკა გიორგაძე

როდესაც შენ აქ ქართველ მუსლიმებს იმის საშუალებას არ აძლევ, რომ ჰქონდეთ შენობა, თუ ისინი საჭიროებენ თავისი რელიგიური რიტუალის შესასრულებლად და არაფერს აკეთებ, რომ ეს შენ უზრუნველყო, შენ დაიცვა და შენ გახდე – ქართული სახელმწიფოს, შენი მოქალაქეების რელიგიური ინტერესების დამცველი, და არ ეს ყველაფერი სხვა ქვეყანას მიანდო და ის შემოიყვანო შენს ტეროტორიაზე. ეს საკითხები ნელ-ნელა მწიფდებოდა და რაღაც ეტაპზე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდებოდა და გახდა კიდეც აზიზეის მეჩეთთან დაკავშირებით. ეს უკვე სიმბოლური აღიარებაა იმისა, რომ სხვა სახელმწიფოს მხრიდან მის შიდა ტერიტორიად მიჩნეული ქართული ძირძველი კუთხის ღია გაფორმება მოხდა თურქეთის სივრცეში. ელემენტარულად, აზიზეის მეჩეთი ამ შემთხვევაში იქცა სიმბოლურ ქმედებად. ამით ჩვენვე ვაღიარებთ, რომ: ეს ტერიტორია, რომელსაც თურქეთი თავის ნაწილად მიიჩნევს, ამას საფუძველი აქვს; ჩვენვე ვაღიარებთ იმას, რომ ქართველი მუსლიმების პატრონი არის თურქეთის სახელმწიფო და არა ქართული სახელმწიფო. თავის დროზე, როდესაც ბათუმის აეროპორტმა თურქეთის დროით დაიწყო მუშაობა და თურქეთმა ეს თავის შიდა მოხმარების აეროპორტად მიიჩნია, და ეს ხელისუფლებამ ქართველ საზოგადოებას ისე ამცნო, როგორ წარმატებით ვითარდება ბიზნესი და საერთაშორისო თანამეგობრობაში როგორ ერთვებოდა საქართველო, აი, ახლა გამოჩნდა, რა საერთაშორისო პროცესებში აპირებენ საქართველოს ჩართვას.

***— რეალურად ეს პოლიტიკა არის თურქეთის ინტერესების დაკმაყოფილება საქართველოს ტერიტორიაზე?***

— რა თქმა უნდა, ეს არის თურქული ინტერესების განხორციელება საქართველოში. ამას თურქული მხარე არ ფარავს. ვისაც ოდნავ მაინც შეხება აქვს პოლიტიკასთან, მან უნდა იცოდეს, ის კონცეპტუალური ცვლილებები, რაც მოხდა თურქეთის ხელისუფლებაში თურქუზ ოზალის მოსვლის შემდგომ. უნდა იცნობდეს თურქეთის საკმაოდ სერიოზული ანალიტიკოსების წერილებს. თურქეთის პოლიტიკა გეგმაზომიერია და თავის ქვეყნის ინტერესებს გეგმაზომიერად იცავენ. იგივეს ჩვენ ნამდვილად ვერ ვიტყვით ჩვენს ხელისუფლებასთან მიმართებაში. პრაქტიკულად საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ჩადგა ამ ნაწილში – ქართული მიწისა, სხვა ქვეყნის სამსახურში. ისევე როგორც რუსეთს დავუთმეთ მამისონი.

***— სააკაშვილის ხელისუფლების მსგავსი ნაბიჯები იმის წინაპირობას იძლევა, რომ თურქეთმა აჭარასთან მიმართებაში პრეტენზიები უფრო მაღალ დონეზე გამოთქვას?***

— თურქეთის სახელმწიფო დემოკრატიული სახელმწიფოა. ის პრეტენზიებს არ გამოთქვამს იმ ფორმით, რომ აქ ჯარს არ შემოიყვანს და რაიმე ძალადობრივ ქმედებებს არ განახორციელებს. ის იცავს თავის თავის დამკვიდრებულ იდეოლოგიას – ახალი ოსმალიზაციის თეორიას, რომელიც მათ განავითარეს. ბუნებრივია, აჭარა მოიაზრება თურქეთის ინტერესების სფეროში. არსებობს მისი უწმინდესობის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ვერ ავუკრძალავთ ვერავის, რომ მას წარმოდგენა ჰქონდეს თავის კულტურულ საზღვრებზე. ეს ინტერესი კი არ უნდა დაფარო, ღიად უნდა განაცხადო. შესაბამისად, განაცხადა ეკლესიამ, რომ ლაზეთში ერთ-ერთი მონასტრის ამოქმედების შესახებ, იცოდეს მთელმა მსოფლიომ, რომ ჩვენ ამ სივრცეში კულტურული ურთიერთობების პრეტენზია გვაქვს. გვაქვს იმის პრეტენზია, მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ამ მიწაზე, რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია და ტერიტორიული პრობლემები ჩვენ ერთმანეთთან არ გვიდგას, ურთიერთობის დონეზე უნდა ვაგრძნობინოთ და ღიად უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ ამ კულტურულ სივრცეზე გარკვეული პრეტენზიები გაგვაჩნია; და რომ ეს ტერიტორია რომ ველური მდგომარეობიდან განვითარებად ფეოდალურ მდგომარეობამდე მოვიდა, ამაში ქართველი ერის უდიდესი დამსახურებაა. სამწუხაროდ, საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენ არათუ ნაბიჯები გადავდგათ, პირიქით, დავივიწყოთ, რომ ეს ისტორიული ტერიტორია ოდესღაც საქართველოს ეკუთვნოდა. ამ 5 წლის არც კი გადაუდგამთ ელემენტარული ოპტიმალური ნაბიჯი, რომ ამ კულტურული ძეგლების რესტავრაციის საკითხი დაეყენებინათ იგივე იუნესკოს თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე. თურქეთი, როგორც საერთაშორისო სამყაროს წევრი, ბუნებრივია, ვალდებული იქნებოდა, ამის შესახებ მიეღო კონკრეტული გადაწყვეტილებები და ნაბიჯებიც გადაედგა. ფაქტია, ჩვენთან თურქეთი ოფიციალურად მეგობრულ ურთიერთობაშია, თუმცა მაინც ვერ ვახერხებთ, დავიცვათ ჩვენი ეროვნული და რელიგიური ინტერესები. ეს ჩვენი ბრალია.

***— პროტესტი, რომელიც საზოგადოებაში აზიზეის მეჩეთის მშენებლობამ, უფრო სწორად, ამ კუთხით თურქეთისა და საქართველოს ხელისუფლებების მიერ მიღებულმა შეთანხმება გამოიწვია, შედეგს ვერ გამოიღებს?***

— ამან თუ შედეგი არ გამოიღო, ეს იქნება ერთიანი ქართული ცნობიერების გახლეჩის პროცესის ოფიციალური დადასტურება. არ შეიძლება, რომ ქართველები რელიგიური ნიშნით გაითიშონ. არ შეიძლება რომელიმე მოქალაქე და მით უმეტეს, ეთნიკურად ქართველი, თავის ცენტრად მიიჩნევდეს, სხვა ქვეყნის რელიგიურ დაწესებულებას. ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებაც მინდა ვთქვა: მემედ აბაშიძის ძეგლის ხელის ხლება შეიძლებოდა?! მემედ აბაშიძემ იმხელა სამსახური გაუწია ქართველ ხალხს მთლიანობაში, რომ მას არ ეკუთვნოდა, რომ ბათუმის ცენტრში მისი ძეგლი დაეტოვებინათ? რა შუაშია მისი შთამომავლობა და შვილიშვილი. სულ რომ ყველანაირი უარყოფითი ეპითეტით შესამკობი იყოს მისი შთამომავლობა, მემედ აბაშიძემ რაც საქართველოს გაუკეთა, ამის დავიწყება არ შეიძლება. მემედ აბაშიძის ძეგლი გადაიტანეს ბათუმის ცენტრიდან, როგორც ასლან აბაშიძის ბაბუის თუ როგორც ერთიანი ქართული ცნობიერების დამცველის ძეგლი?! ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მაშინ ქართველმა საზოგადოებამ ეს ყველაფერი მხოლოდ პოლიტიკურ ანგარიშსწორებად ჩათვალა. არადა, ანგარიშსწორება მოხდა არა ასლან აბაშიძის, არამედ ერთიანი ქართული ცნობიერებისთვის თავდადებული გმირისადმი. მაშინ რომ არ ამოვიღეთ ხმა და შესაბამისი პატივი არ მივაგეთ მემედ აბაშიძეს, ერთ-ერთ უდიდეს ქართველს, სწორედ ამიტომაც ჩათვალეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რომ ქართველები არ არიან თავიანთი ღირებულებების დამცველები. ამ ფონზე ჩვენ ვხედავთ, რომ სააკაშვილმა შლოპანცებს დაუდგა ძეგლი.

# ადვოკატები საკუთარი უფლებებისათვის იბრძვიან

## მიიღებს თუ არა საპარლამენტო უმრავლესობა ადვოკატების მიერ მომზადებულ კანონპროექტს?

შალვა ჯოხაძე

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრები გუშინ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრებსა და ექსპერტებს შეხვდნენ.

ირკვევა, რომ ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ მომზადებულ „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ და „სისხლის სამართლის კოდექსში“ შესატან ცვლილებებს ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ პარლამენტს განსახილველად წარუდგენს.

ცვლილებების პროექტი ფრაქციის წევრებმა ადვოკატთა ასოციაციის წევრებთან ერთად განიხილეს. დოკუმენტის მომზადების აუცილებლობაზე იურისტებმა იოსებ ბარათაშვილმა და თეა წულუკიანმა ისაუბრეს. მათი განცხადებით, ცვლილებების პაკეტის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება ყველა დაინტერესებულ იურისტს შეეძლო.

იურისტთა მოსაზრებით, 2010 წლის 1 ოქტომბერს ძალაში შესული ახალი „სისხლის სამართლის კოდექსის“ რიგი ნორმები ცვლილებებს საჭიროებს, რათა სამართალწარმოება და ადვოკატთა საქმიანობა უფრო ეფექტური გახდეს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილებები შემდეგ ნორმებზე ვრცელდება: საქვეყნოობის პრინციპი, შეჯიბრებითობის პრინციპი, ადვოკატთა უფლებები, გამოკითხვის ოქმი, პრეიუდიცია, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის საკითხი, სასამართლო სხდომის ოქმი და სხვა.

ფრაქციის თავმჯდომარის, დიმიტრი ლორთქიფანიძის განცხადებით, ფრაქცია წარმოდგენილ დოკუმენტს საკანონმდებლო ინიციატივის ფორმით პარლამენტის ბიუროზე დაარეგისტრირებს. ამის შემდეგ მისი განხილვა საკომიტეტო სხდომებზე გაიმართება. დეპუტატის მოსაზრებით, ადვოკატთა ასოციაციამ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ხედვა და დასკვნა წარმოადგინა და მისი მიღება აღნიშნული სამართლებრივი სფეროს რეფორმირებას განაპირობებს.


ზაზა ხატიაშვილი

„ადვოკატთა ასოციაცია“ საპროცესო შეთანხმების პროცესის გადახედვას ითხოვს და ხელისუფლებას კონკრეტულ წინადადებებს სთავაზობს. როგორც პრეზენტაციისას ითქვა, საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელის გაუმჭვირვალე პროცესი ბრალდებულისთვის სარგებლის მოტანას საჯარო ინტერესის დაკმაყოფილების გზით, ვერ უზრუნველყოფს. „ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, საპროცესო შეთანხმების დადების სრული პროცესი, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის მიერ შუამდგომლობის მომზადებამდე ოქმში უნდა დაფიქსირდეს.ასევე, ცალკე ნორმად რეგულირდება სასამართლოს უფლებამოსილება, მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების დადება ბრალდებულის პირველი წარდგენისას სასამართლოში, წინასასამართლო სხდომაზე და შემდგომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. პროექტით ასევე გათვალისწინებულია მოსამართლესთან კომუნიკაციის სავალდებულოობა შეთანხმების პროცესის განმავლობაში.

„ადვოკატთა ასოციაციაში“ მიაჩნიათ, რომ ეს რეგულაცია იქნება რეალური წინაპირობა იმისთვის, რომ იყოს დასაბუთებული ბრალდება და კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილება.

# ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხუთი კითხვა ჭიაბერაშვილს

**„ეროვნულ-დემოკრატიული“ პარტია შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილთან ამ ეტაპზე სულ რამდენიმე კითხვა აქვს. როგორც პარტიის თავმჯდომარემ გურამ ჩახვაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ისინი მთავრობაში მიმდინარე გადაადგილებებს მხოლოდ ფორმალურად არ უდგებიან, ჩახვაძე იმედოვნებს, რომ არც ხელისუფლება მიუდგება მინისტრების შეცვლას ფორმალურად.**



გურამ ჩახვაძე

შორენა გონგლაძე

მთავრობაში საკადრო გადაადგილებები მხოლოდ ფორმალურ ცვლილებებს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან არის ბევრი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, - აცხადებს გურამ ჩახვაძე.

„ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას“ შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრობის კანდიდატ ზურაბ ჭიაბერაშვილთან ხუთი კითხვა აქვს, რომელსაც ისინი პლენარულ სხდომაზე გაახმოვანებენ. ჩახვაძის თქმით, თუ მთავრობა მზად არის მათ მიერ დაყენებული საკითხების უზრუნველყოფა ეტაპობრივად დაიწყოს, ისინი მზად არიან მთავრობასთან თანამშრომლობისათვის. ეროვნულ- დემოკრატიული პარტიის მიერ დასმული კითხვები კი შემდეგ საკითხებს მოიცავს:

აპირებს თუ არა მინისტრობის კანდიდატი შეიცვალოს სახელმწიფო პოლიტიკა დასაქმების სფეროში. კერძოდ, შემოიღებს თუ არა კონსტიტუციით დადგენილ უმუშევრის სტატუსს. ასევე შეასრულებს თუ არა საერთაშორისო ვალდებულებას და შექმნის დასაქმების სახელმწიფო სამსახურს, რომელიც მოახდენს დასაქმებულების დაზღვევას, უმუშევარი მოქალაქეების რეგისტრაციას, მათთვის ყოველთვიურად ფულადი შემწეობების გაცემას, ახალი სამუშაო ადგილების მოძიებას, პროფესიულ გადამზადებასა და თვით დასაქმებაში ხელშეწყობას.

ასევე, აპირებს თუ არა შეცვალოს არსებული შრომის კანონმდებლობა და, საერთოდ, სახელმწიფოს დამოკიდებულება მოქალაქეთა შრომის უფლებებისადმი. შრომის პირობები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურება, ცალკეული და მასობრივი დათხოვნები დასაბუთების გარეშე, გაფიცვები, ესენია ის უფლებები, რომლებიც ირღვევა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სამსახურებში. ექნება თუ არა სამინისტროს პოლიტიკური ნება შეცვალოს ქვეყანაში შრომის პოლიტიკა.

ჩახვაძეს ასევე აინტერესებს, აპირებს თუ არა ჭიაბერაშვილი გადახედოს ქვეყანაში არსებულ საპენსიო სისტემას და მოითხოვოთ პენსიების საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდა. გარდა ასაკით პენსიონერებისა, აპირებს თუ არა გაზარდოს მარჩენალ დაკარგულების, ვეტერანების, ობოლი ბავშვების, ინვალიდების პენსიის ოდენობა. მომავალი თაობის პენსიონერების ღირსეული სიბერისათვის შემოიღებენ თუ არა დაგროვებით საპენსიო მოდელს.

ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის შეიცვლება თუ არა შეფასების დღეს არსებული არასამართლიანი სისტემა. გაიზრდება თუ არა 22 ლარიანი მინიმალური შემწეობა საარსებო მინიმუმამდე, 160 ლარამდე. სოციალურ პაკეტში გათვალისწინებული იქნება თუ არა სამედიცინო დაზღვევა, ყოველთვიური კომუნალური სუბსიდიები, უმაღლესი განათლების დაფინანსება მატერიალურად გაჭირვებული ახალგაზრდებისათვის და სხვა დახმარებები. ჯანდაცვის სფეროში შემოიტანენ თუ არა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სისტემას, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამედიცინო მომსახურეობას და ძირეულად შეამცირებს ჯიბიდან გადახდის დღეს დამკვიდრებულ პრაქტიკას, რომელმაც ოჯახების უმეტესობა მატერიალურად გაანადგურა.

# როდის დაზუსტდება ამომრჩეველთა სიები

შორენა გონგლაძე

ცენტრალური საარჩევნო კომისია სულ მალე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების პროცესს დაიწყებს.

– ამომრჩეველთა სიების გადამოწმების კომისიამ დაგეგმა სიების გადამოწმების უმთავრესი მეთოდის პროექტი, რაც ნიშნავს კარდაკარის პრინციპით ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას. სწორედ კარდაკარი იქნება ის მეთოდი, რომელიც ხელისუფლებას აღარ მისცემს საშუალებას, იმანიპულიროს ამომრჩეველთა სიებით არჩევნების დღეს, – ეს განცხადება გუშინ საარჩევნო სიის გადამოწმების უზრუნველყოფის კომისიის ხელმძღვანელმა მამუკა კაციტაძემ სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გამართულ პრეზენტაციაზე განაცხადა. მამუკა კაციტაძის განცხადებით, სწორედ დღევანდელ დღეს იწყება კარდაკარისათვის მზადების ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი.

– ეს ნიშნავს, რომ ერთი მხრივ ჩვენ გვაქვს იმ სახელმძღვანელოს პრეზენტაცია, რომლის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს რეგისტრატორების სწავლება, მეორე მხრივ, დღეიდან იწყება ტრენერთა ტრეინინგი, რომლებიც უშუალოდ განახორციელებენ შემდეგ უკვე რეგისტრატორების სწავლებას მომავალი ოცი დღის განმავლობაში საქართველოს რეგიონებსა და რაიონებში. 38 ტრენერი, 11 ათას ას რეგისტრატორს დაატრენინგებს. ეს არის უმნიშვნელოვანესი ეტაპი კარდაკარის ღონისძიებისას. კარდაკარი დაიწყება 20 აპრილს და გასტანს 10 ივნისამდე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ შევალთ ყველა ოჯახში, ყველა ბინაში, ყველა უბანზე, ყველა ოლქში და მოვიცავთ მთლიანად საქართველოს. ეს არ მისცემს საშუალებას მომავალში მმართველ პარტიას გარკვეული მანიპულირებები განახორციელოს ამომრჩეველთა სიებთან მიმართებაში.

– ეს თუ იძლევა დადებითი შედეგის ასპროცენტიან გარანტიას, ცდომილება რა შეიძლება იყოს?



მამუკა კაციტაძე

– ცდომილებებთან დაკავშირებით მე ვიქნები მზად პირველი აგვისტოსათვის, მაშინ, როდესაც დავდებთ ამომრჩეველთა ერთიან სიას, იქ გვეცოდინება ზუსტად თუ რამდენმა ადამიანმა თქვა უარი, რამდენი იქნა ხელმიუწვდომელი და ასე შემდეგ. ამიტომ დღეს ცდომილებაზე საუბარი კონკრეტიკაში საკმაოდ რთული იქნება. შემიძლია გითხრათ, რომ მე არ მაქვს ილუზია, რომ შედეგი იქნება ასპროცენტიანი, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ეს იქნება ას პროცენტთან ძალიან მიახლოვებული.

**ნათია ზაალიშვილი, საარჩევნო სისტემის განვითარების რეფორმების და სწავლების ცენტრის დირექტორი:**

- საააარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა მოამზადა სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელო იმ რეგისტრატორებისათვის, რომლებიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის განახორციელებენ კარდაკარის პრინციპით ამომრჩევლების მონაცემების გადამოწმებასა და დაზუსტებას. ვფიქრობთ, რომ ეს სახელმძღვანელო სასწავლო კურსი, რომელიც არის დაგეგმილი, ხელს შეუწყობს მათ, მაღალკვალიფიციურად და პროფესიონალურ დონეზე მოემსახურონ ამომრჩევლებს და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ხელი შეუწყონ ამომრჩეველთა სრულყოფილი სიების ფორმირებას.

– თუ უზრუნველყოფს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას?

– ბუნებრივია უზრუნველყოფს, რადგანაც პრინციპული ამოცანა და წინაპირობა იმისათვის, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, აუცილებელია, რომ არსებობდეს სრულყოფილი სია, ვინაიდან მხოლოდ რეგისტრირებულ ამომრჩევლებს ექნება შესაძლებლობა, რომ რეალიზება გაუკეთოს საარჩევნო უფლებას, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და შედეგობრივად იყოს დაცული მისი ხმა. სწავლება დაიწყება დღეიდან, გაგრძელდება 6 აპრილის ჩათვლით და რაც შეეხება თვითონ კარდაკარის პროექტის განხორციელებას, კომისია ამას უზრუნველყოფს 20 აპრილიდან.

# მედვედევმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა გააუქმა

დასაწყისი მე-4 გვერდზე

დაარწმუნოს, რომ ტკაჩოვის დანიშვნა რუსეთის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლად აფხაზეთში, არ ნიშნავს აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ დაკნინებას, რომ ეს კეთდება მხოლოდ აფხაზი და რუსი ხალხის საკეთილდღეოდ და ორი „ქვეყნის“ დასაახლოებლად, რომ ოლიმპიადის ჩატარებისგან იხეირებს როგორც რუსეთი, ისე აფხაზეთი.

– და ამ სისულელეს, სამწუხაროდ, ოკუპირებული ტერიტორიის ბევრი მცხოვრები დაიჯერებს. ვისაც კარგად ესმის მიმდინარე პროცესების არსი, გაჩუმდება, ვინც მაინც შეუქმნის რუსულ ინტერესებს პრობლემებს, მათ შეახსენებენ, რომ „დამპალი კბილებით ხელისუფლებას არ უნდა უღრინო“. და კიდევ ერთი – გლობალურ ქსელში აფხაზური საზოგადოების აქტიურ ნაწილზე დაკვირვება გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ ისინი დღესაც შიშის ქვეშ ცხოვრობენ. შიშები კი სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული – ზოგიერთს ქართველების ეშინია, ზოგს რუსული სპეცსამსახურების, ზოგს საკუთარი მეგობრებისა და აჩრდილის. ერთი მხრივ, ისინი გამოხატავენ სურვილს დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, მეორე მხრივ – ძალიან სწრაფად შლიან თავიანთ გამონათქვამებს, რომ ვინიცობაა ვინმემ არ წაიკითხოს. შიშის ქვეშ ცხოვრება აფხაზური საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობად იქცა. დრო მიდის, სიტუაცია იცვლება, თუმცა შიშის მიზეზები მათში არ იკლებს. და რაც უფრო მეტად განავრცობს მოსკოვი თავის საცეცებს აფხაზეთში, მით უფრო მოიმატებს მათი შიში. შიში მათ მიმართ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ მეგობრად მიაჩნდათ და დღეს კი ყოველ საათობრივად ყველაზე დიდ მტრად გარდაიქმნება. იმის შიშიც, რომ თავისი თავის წინაშე ეს ყველაფერი აღიარონ. და აქ გვახსენდება ფრაზა ერთი ამერიკული ფილმიდან – „სიკვდილის მოლოდინი სიკვდილზე უარესია“ – რაც აბსოლუტური სიზუსტით აღწერს აფხაზური საზოგადოების დღევანდელ ყოფას,, – მიაჩნია ცქიტიშვილს.

აფხაზეთში გუბერნატორის დანიშვნას საქართველოს პარლამენტშიც გამოეხმაურნენ.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა დავითაიას ინფორმაციით, ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის პრეზიდენტის მიერ რწმუნებულად კრასნოდარის მხარის გუბერნატორ ალექსანდრე ტკაჩევის დანიშვნამ აფხაზებიც კი შეაშფოთა.

როგორც ბიუროს სხდომაზე დავითაიამ განაცხადა, კრასნოდარის მხარის გუბერნატორის აფხაზეთში რწმუნებულად დანიშვნა ყოვლად დაუშვებელია.

– ეს არა ამ ტერიტორიის ოკუპაცია, არამედ ანექსია და იმის ჩვენებაა, რომ არანაირ დამოუკიდებლობაზე საუბარი არ არის. რა ინფორმაციაც მე მაქვს, აფხაზებიც კი შეშფოთებულები არიან, რადგან ამით კრასნოდარის მხარესთან აფხაზეთის მიერთება ხდება. ეს ბრძანებულება ოლიმპიური თამაშების ჩატარებას უკავშირდება. მინდა დავსვა საკითხი, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრომ და ოლიმპიურმა კომიტეტმა მსოფლიო ოლიმპიურ კომიტეტს მიმართონ და საქმის კურსში ჩააყენონ, რომ ოლიმპიური კომიტეტის წევრი ოკუპირებული ტერიტორიის რწმუნებული ხდება. ეს ყოვლად მიუღებელია და ამას ძალიან სერიოზული რეაგირება უნდა მოჰყვეს. თუ ამ მიმართულებით მუშაობაში პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიც მიიღებს მონაწილეობას, კარგი იქნება, – განაცხადა პაატა დავითაიამ.

პარლამენტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის შეფასებით, კრასნოდარის მხარის გუბერნატორის – ალექსანდრე ტკაჩევის აფხაზეთში რწმუნებულად დანიშვნა უპრეცედენტო ფაქტია.

როგორც ბიუროს სხდომაზე დავით ბაქრაძემ აღნიშნა, არ არის გამორიცხული, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადების მიღება მოხდეს.

– შემაშფოთებელია, რომ ეს ნაბიჯი ოლიმპიადის ქვეტექსტით გადაიდგა. ის არ კმარა, რომ აფხაზეთში საოკუპაციო ჯარი დგას და ყველაფერი რუსეთის და ოკუპანტი ჯარის მხრიდან კონტროლდება?! ახლა, უკვე პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, ადგილობრივ მარიონეტულ ხელისუფლებას პირდაპირ უფროსი დაუნიშნეს, რომელმაც ფაქტობრივად აფხაზეთი უნდა მართოს. ეს უპრეცენდენტო გადაწყვეტილებაა, რომელიც ერთი მხრივ ძალიან კარგად აჩვენებს აფხაზეთისა და აფხაზების მიმართ რუსეთის დამოკიდებულებას და იმ ფარსს, რაზეც რუსული პოლიტიკა დგას, როდესაც ის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობაზე საუბრობს. მეორე მხრივ კი, ძალიან შემაშფოთებელია, რომ ასეთი ნაბიჯების გადადგმა ოლიმპიადის ქვეტექსტით ხდება, – დასძინა დავით ბაქრაძემ.

## დედოფლისწყაროში უმწეოთა შერჩევა პოლიტიკური ნიშნით ხდება

პარტია „თავისუფალი საქართველო“ დედოფლისწყაროს სოფლების მოსახლეობისთვის სოციალური დახმარებების პოლიტიკური ნიშნით დანიშვნა-მოხსნის შესახებ განცხადებას აკეთებს. პარტიის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარის თამილა გურაშვილის ინფორმაციით, სოციალური სააგენტოს წარმომადგენლები დახმარებებს გამგებლის ოთარ ხოზრევანიძის განკარგულებით, პოლიტიკური ნიშნით ხსნიან და ნიშნავენ.

მისივე თქმით, სოფელ მირზაანში მცხოვრებ ზოია ფიროსმანიშვილს დახმარება მხოლოდ იმიტომ შეუწყვიტეს, რომ ის თვითმმართველობის არჩევნების დროს, ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას ეხმარებოდა.

გურაშვილის ინფორმაციით, სოციალური დახმარება პოლიტიკური ნიშნით შეუწყვიტეს სოფელ ხორნაბუჯში, ზემო ქედში, სამთაწყაროსა და ფიროსმანში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს.

– ამის ნაცვლად, სამთაწყაროს გამგებელი პაატა ნადირაშვილი და გამგეობის სპეციალისტი აკაკი ჭაღალიძე დახმარებას მანამდე იღებდნენ, ვიდრე ეს ფაქტი „თავისუფალმა საქართველომ“ არ გააპროტესტა, – განაცხადა გურაშვილმა.

ნიუსპრესი



თამილა გურაშვილი

## ქვემო ქართლში ბორჩალოს საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნიან

ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახელებულ ქვემო ქართლში (ე.წ. ბორჩალო) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები ბორჩალოს საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნიან. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმი“ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა კონფედერაციის პრეზიდენტ დაშგინ გიულმამედოვზე დაყრდნობით იუწყება.

მისი მტკიცებით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას შორის გამართული მოლაპარაკებების დროს გადაწყდა, რომ ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტი უახლოეს პერიოდში შეიქმნება. იგეგმება საზოგადოებრივი პარლამენტის სპეციალური ქარტიის მიღებაც.

გიულმამედოვის მტკიცებით, საზოგადოებრივი პარლამენტი ბორჩალოში მოქმედი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინირებას მოახდენს.

აღნიშნულ საზოგადოებრივ ორგანოში გაწევრიანების მსურველი თითოეული არასამთავრობო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ერთი ადამიანით იქნება წარმოდგენილი.

მედიანიუსი

# რატომ ჩამოვიდა საქართველოში სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი

ნათია ხურცილავა

ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტ სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტის საპასუხო ვიზიტით ბათუმში თებერვალში სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტის თარილი ჯერ ისევ დაუზუსტებულია. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა. კალანდაძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს განსაკუთრებულად დატვირთული გრაფიკი აქვს და ამიტომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკებები იმის თაობაზე, თუ როდის განხორციელდება ვიზიტი. ნინო კალანდაძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ცალსახად არის გაცხადებული, რომ ეს ვიზიტი შედგება და ჰილარი კლინტონი საქართველოს უახლოეს მომავალში ეწვევა. – უბრალოდ, თარილი უნდა შეთანხმდეს, რადგან სასურველია, რომ ჩვენც სათანადო შეხვედრების წარმართვა შევძლოთ სახელმწიფო მდივანთან. – განაცხადა კალანდაძემ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციულ პრესკონფერენციაზე მინისტრის მოადგილემ საქართველოში რუსეთის ინტერესებზე ისაუბრა.

– საქართველოში ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი რუსეთის ინტერესებში შედის. – აცხადებს კალანდაძე.

აღნიშნული განცხადება კალანდაძემ „რუსეთში ჯავახკის დიასპორის“ ლიდერის განცხადების კომენტირებისას გააკეთა.

მისივე თქმით, ცალკეული ჯგუფების უკან, რომლებიც პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებენ, რუსეთი დგას.

კალანდაძის განცხადებით, სომხეთი ძალიან აქტიურად თანამშრომლობს ნატო-სთან და ეს თანამშრომლობა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია.

– ამდენად, ჩემთვის ძნელად წარმოსადგენია, რატომ უნდა მიიჩნევდეს ამას ვინმე რაიმე საფრთხედ, თუ არა მის უკან არსებული გარკვეული რუსული ძალები, რომლებსაც, ერთი მხრივ, ინტერესი აქვთ, რომ მაქსიმალურად შორს ჰყავდეთ ალიანსი მოსაზღვრე სუვერენული სახელმწიფოებისგან და მეორე მხრივ, სერიოზული დაინტერესება აქვთ, რომ საქართველოში განხეთქილება და დაძაბულობა არსებობდეს ეთნიკურ ჯგუფებს შორის, – განაცხადა კალანდაძემ.

მინისტრის მოადგილის



თქმით, საქართველოს ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში კონკრეტული სტრატეგია აქვს, რომელიც წარმატებით ხორციელდება. – ძალიან კარგად ვფლობთ ჩვენ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა ვითარება არსებობს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. ასევე, უნდა ითქვას, რომ ჩვენ არა მხოლოდ სომხეთთან გვაქვს კეთილმეზობლური და კარგი ურთიერთობები, არამედ – საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან. სომხური წარმომავლობის ჯგუფებთან სახელმწიფოს აქვს ძალიან წარმატებული სტრატეგია, რომელიც გულისხმობს მათ მაქსიმალურ ჩართულობას და ინტეგრაციის პოლიტიკას, – განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ. რუსულმა გამოცემამ „ნოვიე ხრონიკი“ გამოაქვეყნა სტატია – „საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლოა, კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდეს.“ აღნიშნულ გაზეთს „რუსეთში ჯავახკის დიასპორის“ ხელმძღვანელმა აგასი არაბიანმა განუცხადა – „თუ საქართველო ნატო-ში გაწევრიანდა, ის თურქეთის მოკავშირე გახდება, რაც ეწინააღმდეგება სომხეთის ეროვნულ ინტერესებს. „ნოვიე ხრონიკი“ წერს, რომ თუ საქართველო ნატო-ში შევა, შესაძლოა, „ჯავახკის რეგიონმა საქართველოსგან გამოყოფა მოითხოვოს“.

საგარეო საქმეთა სამინისტროში პრესას ნინო კალანდაძემ განუცხადა, რომ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ნალბანდიანი საქართველოში დაგეგმილი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. გაურკვეველია, აღნიშნული ვიზიტის შესახებ რატომ არ იყო პრესისთვის ცნობილი და რატომ გააკეთა სამინისტრომ აღნიშნულის შესახებ განცხადება ფაქტის შემდეგ?

პრესისთვის უცნობია, რა საკითხები განიხილეს საქართველოსა და სომხეთის პირველმა დიპლომატებმა შეხვედრაზე. მინისტრის მოადგილის თქმით, საქართველო ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით მეზობლებთან ცდილობს, რომ ორმხრივი ურთიერთობები მაქსიმალურად მაღალ დონეზე გაამყაროს.

– შესაბამისად, კარგია, რომ ხშირი შეხვედრებია, რადგან აქტუალური საკითხები ოპერატიულად განიხილება, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ნალბანდიანი საქართველოში ორდღიანი ვიზიტით 16-17 მარტს იმყოფებოდა. სომხეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის თბილისში ჩამოსვლა არ დაანონსებულა და ედვარდ ნალბანდიანსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძეს შეხვედრის შემდეგ მედიისთვის განცხადებები არ გაუკეთებიათ.

საქართველოს საგარეო უწყებამ ნალბანდიანის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია 17 მარტს, მას შემდეგ გაავრცელა, რაც სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველო დატოვა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში განცხადება მალაიზიაში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებზეც გაკეთდა. მალაიზიაში ნარკოტრეფიკის ბრალდებით დაკავებულ ქართველებთან დაკავშირებით ვითარების ადგილზე შესასწავლად მორიგი სპეციალური სამუშაო ჯგუფი გაემგზავრება.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ განაცხადა, ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტისა და მთავარი პროკურატურის წარმომადგენელი.

ჯგუფი მალაიზიაში კონსულტაციების საწარმოებლად გაემგზავრება, რათა ჩაიტანოს ინფორმაცია, ესაუბროს ადვოკატს და თავადაც მიიღოს ინფორმაცია, თუ რამდენად რეალური იმედები შეიძლება არსებობდეს დაკავებულების საქმესთან დაკავშირებით. – ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს, რომ ამ ადამიანებს უმაღლესი სასჯელი თავიდან ავარიდოთ. გადაწყვეტილება მთლიანად მალაიზიური სასამართლოს ხელშია, რომელიც ცნობილია თავისი მკაცრი დამოკიდებულებით ამ ტიპის დანაშაულების მიმართ. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოვიყენოთ, რათა უმკაცრესი სასჯელი თავიდან იქნას არიდებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს საკითხი ძალიან მძიმეა და ასე მარტივად მოსაგვარებელი არ არის, – განაცხადა ნინო კალანდაძემ.

საქართველოს მოქალაქეები ბაბუცა გორდაძე და დარეჯან კოხტაშვილი მალაიზიაში 2010 წლის ოქტომბერში ნარკოტრეფიკის ბრალდებით დააკავეს. ადგილობრივი კანონმდებლობით ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში, მათ სიკვდილით დასჯა ემუქრებათ.

კიდევ ერთი ინფორმაცია, რაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა, პოლიტიკურ კონსულტაციებს შეეხება. საქართველოსა და ლატვიის საგარეო უწყებებს შორის 21 მარტს თბილისში პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება.

კალანდაძემ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა.

– ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს უსაფრთხოების თვალსაზრისით დაუცველ და არაუზრუნველყოფილ ტერიტორიებს – ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.

კალანდაძის განცხადებით, ის, რომ კრიმინალური დაჯგუფებები თავისუფლად გადაადგილდებიან ამ ტერიტორიებზე, ნათლად მიუთითებს, რომ კრიმინალებისთვის ამ ტერიტორიაზე ხელსაყრელი გარემოა შექმნილი.

– ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რუსეთის მოქმედი ხელისუფლება დავიყოლიოთ კონსტრუქციულ ნაბიჯებზე, რომ შესაძლებელი გახდეს საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმების განთავსება ოკუპირებულ ტერიტორიებზე. – განაცხადა კალანდაძემ.

# რატომ ყიდის სააკაშვილი ტყეებს

გულიკო ბალაძე

სააკაშვილი ასინეთას პრინციპით მოქმედებს და ბოლო ხმაზე ჩაგვძახის, გინდა თუ არა, მე ქვეყანას ვაშენებთ, თქვენ კი ხელს მიშლითო. სინამდვილეში კი, ყველა სფერო, რომელსაც იგი ეხება, ინგრევა. როგორც ჩანს, სააკაშვილი შეშფოთებულია კონკურენტული ძალის გამოჩენით. ეს მას ხმაზეც კი ეტყობა, როცა სხვადასხვა ადგილზე გამოდის და ათასგვარ განცხადებას აკეთებს – საათობით, გვიბურღავს ტვინს..

სინამდვილეში სააკაშვილის განცხადებების უკან ბევრი მზაკვრული ჩანაფიქრი იმალება, რაც შეიძლება ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ძნელად გასაგებია, მაგრამ აქ მთავარი



ხელისუფლებისთვის მაინც ფულის კეთების საშუალებების ძიებაა ყველაფრის ფასად.

ტერიტორიების, სტრატეგიული ობიექტების, ტყეებისა და მდინარეების გაყიდვის ფასად მოპოვებული ფული კი სხვადასხვა გზებით, მათ შორის უზარმაზარი პრემიების საკუთარ თავისთვის გადარიცხვის გზით, ნაციონალებისა და მათი ლიდერის ჯიბეებში ილექება. თუ ასე არაა, რა ინტერესი აქვს ხელისუფლებას, რომელიც ტყეებს ყიდის?

რა ინტერესი აქვს ხელისუფლებას, როცა მავანს, ვინც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობაზე ხელისუფლებასთან (სახელმწიფოს სახელით) გააფორმებს ხელშეკრულებას, გარემოსთვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობა არ დააკისროს?

ანუ ეს არის ფულის კეთების საშუალება – „ნაციონალურმა“ ხელისუფლებამ ფულის კეთების ახალი სქემა მოიგონა – ჯერ ერთი, გადაწყვიტა, ტყეები გაასხვისოს და მეორე გარემოს დაზიანებისთვის პასუხისმგებლობა არ დააკისროს მის დამზიანებელს, რომელსაც ხელშეკრულება ექნება გაფორმებული სახელმწიფოსთან და ამაში ფული ექნება გადახდილი.

სააკაშვილი პარლამენტში ინიციატივით შედის. მომზადებულია აქვს ორი კანონპროექტი. კერძოდ, სააკაშვილის ინიციატივით, იგეგმება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები, რომელიც საქართველოს ტყეების განადგურებასა და კატასტროფას გამოიწვევს. ამის შესახებ ინფორმაცია გაახმაურა „გრიმფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა საგანგებოდ მოწყობილ ბრიფინგზე.

– საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ღიად თქვას უარი გარემოს დაცვაზე, რაც ნიშნავს, პირდაპირ დაზიანებას არა მხოლოდ ბუნებისა, არამედ თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისა, – განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

ლაშა ჩხარტიშვილმა წარმოადგინა ორი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც:

– ერთის მხრივ, დაგეგმილია ტყეების მასობრივი გასხვისების პროცესის დაწყება. ამ შემთხვევაში საკუთრებაში გადაცემის გზით, ხოლო მეორეს მხრივ, უფრო მძიმე საკითხთან გვაქვს საქმე – შეთანხმება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში შეიძლება გახდეს ნაწილი გარემოს დაცვის კანონისა, რომლის საშუალებით, ხელისუფლებამ გადაწყვიტა გაყიდოს გარემოს დაბინძურების, გარემოს დაზიანების, დაწვის და მოწამვლის უფლება. ეს ყველაფერი წერია კანონპროექტში, რომლის მიღებასაც აპირებს ხელისუფლება,– აცხადებს იგი.

საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ შევა ცლილება, რომლის მიხედვით: „დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და ამ პირს შორის შესაძლებელია დაიდოს შეთანხმება, რომლითაც პირის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში, შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში ჩადენილი ყველა ქმედება ითვლება კანონიერად“.

– ე.ი. ამ ცვლილებით, კერძო კომპანიას ექნება უფლება, ენერგეტიკის სამინისტროსთან დადოს შეთანხმება, რომლის თანახმადაც თავისუფლდება ყოველგვარი სახდელისაგან, სასჯელისაგან, მდინარის მოწამვლის, ტყის დაწვისა და გარემოს დაბინძურებისთვის. მსგავსი რამ არ მომხდარა კოლონიურ აფრიკაშიც კი.

ეს ნიშნავს დაუნდობელ განადგურებას საქართველოს ბუნებისა და შესაბამისად, ჩვენი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისა, – ასეთ შეფასებას აძლევს ლაშა ჩხარტიშვილი ხელისუფლების განზრახვას.

მისივე თქმით, ეს ორი კანონპროექტი ბოლო დროსაა მომზადებული. თუმცა, ტყის გაყიდვის თაობაზე კანონპროექტთან დაკავშირებით საუბარია განახლებულ ვერსიაზე, რადგან ასეთი კანონის გატანის პირველი მცდელობა ნოემბრის თვეში იყო, შემდეგ კი უკან გაიწვიეს.

რაც შეეხება უფრო მძიმე კანონპროექტს, რომელიც წარმოადგენს „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში დამატებებისა და ცვლილებების პაკეტს, აქ უკვე საუბარია გარემოს ყველა კომპონენტზე – არა მარტო ტყეზე, არამედ ჰაერზე, წყალზე, ნიადაგზე, მათ შორის, ტყეზეც და ა.შ.

„გარემოს დაცვის“ შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებით შესაძლებელი გახდება შემდეგი:

– შეთანხმების დადების დღიდან პირს შეთანხმებით გათვალისწინებულ პერიოდში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში ჩადენილ\განხორციელებულ ქმედებებზე სახელმწიფოს და\ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმართ არ დაეკისრება სამოქალაქო და\ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მათ შორის, რაიმე სახის ვალდებულება, მოსაკრებელი, ჯარიმა და\ან ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეთანხმება გაუქმებულია, – ნათქვამია კანონპროექტში.

ასეთი კანონის მიღების განზრახვა შეიძლება გაჩნდეს მაშინაც, თუ ტყეები და ბუნებრივი რესურსები თვითონ ხელისუფლების პირველ პირებს (მათ შორის სააკაშვილსაც) უნდათ საკუთრებაში ჰქონდეთ და მოიხმარონ საკუთარი სურვილის მიხედვით. ამ შემთხვევაში, ალბათ, სხვა პირებზე გააფორმე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ივანიშვილი და სააკაშვილი ძალიან ჰგვანან ერთმანეთს

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ფიქრია ჩიხრაძემ სპეციალურ პრესკონფერენციაზე მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის მსგავსებაზე ისაუბრა.

რა საერთო აქვთ მოქმედ პრეზიდენტსა და პრეზიდენტობის მსურველ ივანიშვილს?

– დღევანდელ ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილმა ფული ძალაუფლებით იშოვა, ივანიშვილს კი აქვს განცდა, რომ უკვე ნაშოვნი ფულით მოიპოვოს ძალაუფლება, – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

ფიქრია ჩიხრაძემ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლა კიდევ ერთხელ შეაფასა და იმ მსგავსებებსა და განსხვავებებზე ისაუბრა, რაც მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის არსებობს.

– ივანიშვილი ამბობს, რომ უნდა შეცვალოს სააკაშვილი იმავე უმრავლესობით, როგორი უმრავლესობაც პარლამენტში ხელისუფლებას ახლა ჰყავს. აბსოლუტური უმრავლესობით მოსვლის სურვილი დემოკრატიულ განწყობაზე ნამდვილად არ მიუთითებს. გარდა ამისა, სააკაშვილმა მოინდომა მისგან არაკონტროლირებადი საზოგადოების ჩარეცხვა, განსხვავებული აზრის მქონე მოქალაქეებისადმი იგივე მიუღებლობა ბიძინა ივანიშვილმაც გამოამჟღავნა. გარდა ამისა, ხელისუფლების მსგავსად, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ ასპარეზზე შემობიჯებისთანავე წაახალისა მოსყიდვა და ღალატი - სხვას ვერაფერს დავარქმევ ცალკეული პოლიტიკური გუნდების წარმომადგენლებთან შეხვედრას და მათი ნაწილისთვის კოალიციაში გადასვლის შეთავაზებას, – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

ჩიხრაძის განმარტებით, მისთვის მიუღებელია ივანიშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამყარებას ის ორი-სამი მინისტრის დაჭერით აპირებს.

– მისი ეს პოზიცია კრიტიკას ვერ უძლებს, – აღნიშნა ფიქრია ჩიხრაძემ. საერთო ჯამში, „ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელი ფიქრობს, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით პროცესები უარყოფითად განვითარდა.

– 2012 წლის არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენით პოლიტიკური პროცესი მართალია გამოცოცხლდა, მაგრამ გამოცოცხლებას პოზიტივის ნაცვლად, უარყოფითი პროცესები მოჰყვა. ძალიან ნეგატიურად ვაფასებ იმას, რომ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისთანავე, ქართველი საზოგადოების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ობიექტური სეგმენტი – მედიიდან დაწყებული და არასამთავრობო ორგანიზაციებით დამთავრებული, სრულიად მოისრა, მაშინ, როცა საჭირო იყო, არჩევნების წინ ეს სეგმენტი გაძლიერებული და ობიექტური ყოფილიყო. – განაცხადა ფიქრია ჩიხრაძემ.

ფიქრია ჩიხრაძე საპარლამენტო არჩევნებს ეტაპობრივ მნიშვნელობას ანიჭებს.

მისივე შეფასებით, 2012 წლის არჩევნები იქნება საეტაპო პერიოდი საქართველოს ისტორიაში.



– თუ 2012 წლის არჩევნები იქნება დემოკრატიული და თავისუფალი, ასევე ვიცხოვრებთ შემდეგი ათი წლის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან ბევრი რამის პერსპექტივას დავკარგავთ. – აღნიშნა „მემარჯვენეების“ ერთ-ერთმა ლიდერმა.

# ავთანდილ მახარაძე ვარსკვლავოსანია

ეკა ირემაშვილი



ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი ავთანდილ მახარაძე, რომელიც ბოლო დროს ქართული კინოში კვლავაც გააქტიურდა, ვარსკვლავოსანია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, კინოთეატრ „რუსთაველის" წინ მისი სახელობის ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა.

ნატო ვაჩნაძის, ოთარ კობერიძის, დოდო ჭიჭინაძისა და ლიანა ასათიანის ვარსკვლავების შემდეგ, ავთანდილ მახარაძის ვარსკვლავი რიგით მეხუთეა, რომელმაც კინოთეატრის წინ დაიდო ბინა.

ავთანდილ მახარაძის ვარსკვლავის გახსნამდე კინოთეატრ „რუსთაველში" მსახიობის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, სადაც შეკრებილ საზოგადოებას ავთანდილ მახარაძის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა კიდევ ერთხელ გაახსენეს. ღონისძიება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით მოეწყო. დამსწრე საზოგადოებამ ასევე იხილა კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემული ბუკლეტი, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ავთანდილ მახარაძის კინოსა და თეატრში შესრულებული როლების, კინოფესტივალებზე მიღებული ჯილდოების შესახებ, ასევე ფოტოები და ფრაგმენტები „ფიგაროს", „ნიუს უიკის", კანის ფესტივალის დღიურებისა თუ მსოფლიო პრესის სხვა მნიშვნელოვანი გამოცემებიდან.

კინოთეატრ „რუსთველში" კინოკოლაჟის სახით ნაჩვენები იქნა ავთანდილ მახარაძის მიერ შესრულებული როლები. ვარსკვლავის გახსნამდე კი თავად მსახიობი წარდგა მაყურებლის წინაშე და თავის განვლილ შემოქმედებით ცხოვრებაზე შეკრებილი საზოგადოებისთვის ისაუბრა. კინოთეატრ „რუსთაველში" დაგეგმილ საღამოს ესწრებოდნენ მსახიობის თაყვანისმცემლები, მისი მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები მშობლიური რუსთაველის თეატრიდან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ცხადაძე, მინისტრის მოადგილე დავით ქირსსია.

მსახიობმა ავთანდილ მახარაძემ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი დაამთავრა. მსახიობს ქართულ კინოსა და თეატრში არაერთი მნიშვნელოვანი სახე აქვს შექმნილი. მისი კინოდებიუტი შედგა რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილის ფილმში „მიხა". მსახიობი წლების განმავლობაში მუშაობდა რუსთაველის თეატრში, თუმცა მან თეატრი საკმაოდ ადრე დატოვა.

ერთ-ერთი საუკეთესო როლი ავთანდილ მახარაძემ თენგიზ აბულაძის ცნობილ ფილმში „მონანიება" შეასრულა, სადაც ერთდროულად ორი — ვარლამ და აბელ არავიძეების დაუვიწყარი სახე შექმნა. გასულ წელს ფილმი „მონანიება" 25 წლის გახდა. ამდენი წლის გასვლის მიუხედავად, მსახიობს ამ ფილმზე ლაპარაკი ძალიან უჭირს.

— „მონანიების" გადაღებიდან 25 წელი გავიდა, მაგრამ თითქოს ეს ყველაფერი გუშინ იყო. თითქოს გადაღებები ერთი კვირაა დასრულდა. მადლობა მინდა გადავუხადო თენგიზს და უფალს, რომ ამ ფილმში მივიღე მონაწილეობა. მსახიობზე მისი ნათამაშევი პერსონაჟები უფრო საუბრობენ, ვიდრე თავად. ჩართეთ „მონანიება" და 25 წლის მერეც უყურეთ. ის დროს უძლებს, — აღნიშნა მსახიობმა.

ფილმი „მონანიება" გასულ წელს, რუსული კინოფესტივალის ფარგლებში, კინოთეატრ „რუსთაველშიც" გაიხსენეს. ამ ფესტივალის ორგანიზატორთა ინიციატივით, სოფიკო ჭიაურელის სახელობის პრემია „კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის" ყოველწლიურად გადაეცემა რუს და ქართველ კინომოღვაწეებს. ამ პრემიის პირველი ლაურეატი 2010 წელს გიორგი დანელია გახდა. ამჯერად კი პრემია „მონანიების" გმირებს გადაეცათ. „კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის" სოფიკოს პრემიით დაჯილდოვდნენ ავთანდილ მახარაძე, მერაბ ნინიძე და ნანა ჯანელიძე.

— თავდაპირველად ამ ფილმს ხალხი ჩუმად უყურებდა, კასეტა გადადიოდა ხელიდან ხელში, როდესაც გახმაურდა, საზოგადოებაში ცუდი რეაქცია მოჰყვა. მერე, როდესაც ის გამოვიდა და ფართო საზოგადოებამ ნახა, მაშინაც არაერთგვაროვანი შეფასება ჰქონდა, თუმცა მე ეს ფილმი ძალიან მომწონდა და ახლაც ასე ვაფასებ, — ამბობს რეჟისორი ელდარ შენგელაია.

ფილმი „მონანიება" კანის ფესტივალზე იყო წარდგენილი, სადაც საუკეთესო რეჟისურისთვის პრიზი აიღო. თენგიზ აბულაძის ნამუშევარი 1937 წლის რეპრესიების ღრმად აქტუალურ, ადამიანის ზნეობრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობის პრობლემას ეხება. ფილმში ავთანდილ მახარაძესთან ერთად მონაწილეობენ, ია ნინიძე, მერაბ ნინიძე, ზეინაბ ბოცვაძე, ქეთევან აბულაძე, ედიშერ გიორგობიანი, კახი კავსაძე, ნინო ზაქარიაძე, ნატო ოჩიგავა, დათო ქემხაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ბორის წიფურია, აკაკი ხიდაშელი, ლეო ანთაძე, რეზო ესაძე.

ავთანდილ მახარაძის შემოქმედებაში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ისეთ ნამუშევრებს, როგორიცაა რეჟისორ ქართლოს ხოტივარის ფილმი „ლაზარე", მერაბ კოკოჩაშვილის „მიხა", მიხეილ კალატოზიშვილის „რჩეული", თემურ ჩხეიძის „ჯაყოს ხიზნები". „ჯაყოსთან" ერთად რუსთაველის თეატრის სცენაზე შესრულებული დრამატული როლები.

როგორც კინოთეატრ „რუსთაველში" შეკრებილი საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, მალე კინოთეატრებში გამოვა ავთანდილ მახარაძის ორი ახალი ნამუშევარი — ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი" და გარი ფარაჯანოვის „ყველა წავიდა".

— ფართო საზოგადოებას ჯერ არ უნახავს ავთანდილ მახარაძის უახლესი გმირი, რომელიც მსახიობმა ზაზა რუსაძის ფილმში „ჩემი საბნის ნაკეცი" სულ ახლახან, 2012 წელს შეასრულა, ამიტომ მიგვაჩნია, რომ კინომოყვარულებს წინ კიდევ არაერთი სიურპრიზი ელით, რომელსაც მათ ბატონი ავთანდილ მახარაძე შესთავაზებს, — განაცხადა კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე სოფო აბულაძემ.

ავთანდილ მახარაძის მიერ სხვადასხვა რეჟისორის ფილმში განსახიერებულმა პერსონაჟებმა სხვადასხვა კინოფესტივალებზე არაერთი ჯილდო დაიმსახურა — ფილმში „მონანიება" ვარლამ და აბელ არავიძის როლის შესრულებისთვის მსახიობს გადაეცა პრიზი „სილვერ ჰიუგო" ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჩიკაგოს საერთაშორისო ფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის. ავთანდილ მახარაძე გახდა რუსეთის კინოაკადემიის პრიზის — „ნიკას" მფლობელი ასევე მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისათვის ფილმში „მონანიება". ვარსკვლავოსანმა მსახიობმა მოიპოვა პირველი საერთაშორისო ევრაზიული კინოფესტივალის „ახალი კინო XXI საუკუნე" პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში „ნაციონალური ბომბი", რომლის რეჟისორიც ვაგიფ მუსტაფაევია.

ამჟამად მსახიობი თავის ერთგულ მაყურებელთან ახალი ნამუშევრებით შესახვედრად ემზადება. ზაზა რუსაძემ ახალი ფილმის „ჩემი საბნის ნაკეცი" გადაღება უკვე დაასრულა. მასში ავთანდილ მახარაძესთან ერთად მონაწილეობენ მაკა მახარაძე, ზურა ყიფშიძე და მარინა ჯანაშია. ფილმი საქართველოს კინოთეატრებში ახლო მომავალში გამოვა. ამჟამად ფილმის სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს.

— გადაღებები უკვე დასრულდა. ამჯერად გადაღებული კადრების დამონტაჟება და დახარისხება მიმდინარეობს. უკვე მოვრჩით გადაღებას და როგორც კი დასრულდება მუშაობა, ფილმი კინოეკრანებზე გამოვა. რა თქმა უნდა, ეს 2012 წელს მოხდება, — განაცხადა ზაზა რუსაძემ.

ახალგაზრდა რეჟისორმა ფილმი თავისივე სცენარის მიხედვით გადაიღო და მას „ჩემი საბნის ნაკეცი" დაარქვა. ახალგზრდა რეჟისორისთვის ეს პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. სურათზე მუშაობა რეჟისორმა ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით დაიწყო.

— ზაზა რუსაძეს ჯერ კიდევ გერმანიაში წასვლამდე ვიცნობდი, ჩემს შვილთან მეგობრობდა. „ჩემი საბნის ნაკეცს" რაც შეეხება, როგორი ფილმი გამოვა, არ ვიცი, თუმცა ყველანაირი პირობა გვაქვს, რომ კარგი გამოვიდეს. იმდენად კარგი გუნდი შეკრა და ისეთი ნიჭიერი ხალხი ჩართო ფილმში, რომ დარწმუნებული ვარ, მაყურებელში დიდ მოწონებას დაიმსახურებს. ფილმში მთავარი როლი მაქვს და ჩემს შვილს თორნიკე ბზიავა თამაშობს. ეს ფილმი შინაგან სამყაროს და წარმოსახვით ცხოვრებას ასახავს, — აღნიშნა ავთანდილ მახარაძემ.

ფილმში მონაწილე არაპროფესიონალი მსახიობი მაკა მახარაძე აღნიშნავს, რომ ყველაფერმა წარმატებით ჩაიარა.

— ზაზა რუსაძემ შექმნა ყველა პირობა იმისთვის, რომ გადაღებებს კარგად ჩაევლო. დიდი ინტერესით ველოდები ფილმის პრემიერას და დარწმუნებული ვარ, რომ მაყურებელსაც მოეწონება, — აღნიშნა მაკა მახარაძემ.

კინოთეატრში შეკრებილ საზოგადოებას ავთანდილ მახარაძე ყველა იმ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ დეტალზე ესაუბრა, რომელიც მისთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია. მას არც იმ რეჟისორებისთვის დაავიწყდა მადლობის გადახდა, რომელთა წყალობითაც იგი მაყურებელმა შეიყვარა.

— თუკი არსებობ ადამიანი და თუკი არსებობ როგორც მსახიობი, ეს მარტო შენი სახელისა და გვარის დამსახურება არ არის. თუკი მე დღეს ვარსებობ ამ სახელითა და გვარით, ეს მარტო ჩემი დამსახურება არ არის. არიან ადამიანები, რომლებმაც შექმნეს მსახიობი ავთანდილ მახარაძე, ამიტომ მათ კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო. ეს რომ არ ვთქვა, არ შემიძლია, აუცილებლად უნდა ვუთხრა დიდი მადლობა თემურ ჩხეიძეს, რობერტ სტურუას და ბატონ თენგიზ აბულაძეს.

შემოქმედებითი საღამოს დასრულების შემდეგ, კინოთეატრში შეკრებილმა საზოგადოებამ უკვე „რუსთაველის" წინ გადაინაცვლა, სადაც საზეიმო ვითარებაში ავთანდილ მახარაძის ვარსკვლავი თავად მსახიობმა გახსნა. ვარსკვლავოსანი მსახიობი ბრავოს შეძახილებით და მხურვალე ტაშით კიდევ ერთხელ გაამხნევეს.

ავთანდილ მახარაძე, მსახიობი:

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას, ჩემს ქართველ მაყურებელს, ჩემს ხალხს, იმისთვის, რომ მაქვს საშუალება, მათ წინაშე წარვდგე. ბედნიერი ვარ, თუკი ჩემი პატარა საქმით მათთვის ცოტაოდენი სიამოვნების მინიჭება მაინც შევძელი. მიმაჩნია, რომ ყველაფრის თქმა ამ მომენტში ზედმეტია, გარდა იმისა, რომ ქართველ მაყურებელს ვუთხრა მადლობა იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელიც მათგან ყოველთვის საგრძნობია. დიდი მადლობა, რომ არსებობთ და მილამაზებთ ცხოვრებას.

სოფო აბულაძე, კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

— ბატონი ავთოს შემოქმედება დასამახსოვრებელია არა მარტო ქართველი მაყურებლისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის. კარგად იცით, რომ „მონანიებამ" არაერთი პრესტიჟული ფესტივალის მთავარი პრიზები დაიმსახურა. ვინც აქტიურად არის ჩართული ქართულ კინოში, მათთვის კარგად არის ცნობილი, ბატონი ავთოს შემოქმედებითი გზა. ვიცი, რომ ბატონ ავთოს ბევრი გულშემატკივრობს, იგი ნამდვილად არის გამორჩეული და ნიჭიერი მსახიობი როგორც თეატრში,

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა აკლდამის აღდგენასა და გამშვენებაში, დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608. ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით. შედით მენიუში: სხვადასხვა—საქველმოქმედო—ხობის მონასტერი.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

2012 წლის 10 იანვრიდან ყველა მობილური ოპერატორიდან (ბილაინის გარდა) და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900. ბილაინის აბონენტებს ზარის განხორციელება შეუძლიათ 20 იანვრიდან).




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ᲪᲩ,ᲬᲧᲠᲯᲰᲢᲠᲓᲑᲐᲑᲜᲢ,ᲑᲜ**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 fy lfhtrjs5 vfusb7 ]tjctkb7 ,bkfbyb 2 &)) ^)&9 f[fkb mctkt,b 2 &)) ^)*9 cbkmytnb 2 ^)* ^)* ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8
[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`



## ᲣᲤᲧᲜ[ᲤᲚᲢ,Ტ,Ბ

● გასტროენტეროლოგიური პროგრამა „მედიგარდში". გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში გთავაზობთ კუჭ-ნაწლავის ექოსკოპიურ გამოკვლევას ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, საყლაპავის თიაქარი, ნაწლავის დივერტიკულოზი, წვრილი და მსხვილი ნაწლავის სხვა დაავადებები, მათ შორის აპენდიციტი. გამოკვლევის ეს მეთოდი წარმოადგენს კუჭ-ნაწლავის რენტგენოლოგიური და გასტროსკოპიული გამოკვლევის ალტერნატივას. გასტროენტეროლოგიურ პროგრამაში ასევე შედის საჭმლის მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადებების (გასტრიტი, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება, ქრონიკული ქოლეცისტოპანკრეატიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, ქრონიკული ენტეროკოლიტი და დისბაქტერიოზი) მკურნალობა ფიტოთერაპიის და ნატუროპათიის ტრადიციული მეთოდებით, რაც ეფექტურად გააუმჯობესებს თქვენს ჯანმრთელობას. მისამართი: ფალიაშვილის ქ. №17. ტელ:. 2-25-20-50; 599 572508. 11-დან 17 საათამდე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● იყიდება ან იცვლება საკუთარი სახლი საერთო ფართით 110 კვ.მ. 1,5 ან 2-ოთახიან ბინაზე შესაბამისი თანხის დამატებით. ფასი 55.000 დოლარი. მისამართი: ნუცუბიძის I მ/რ, სახლი №5ა. ტელ: 599-41-52-29; 568-10-65-48; 232-52-29; 231-48-72.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში ბიომასაჟით, ოსტეოქონდროზის, სახსრების დაავადებების, პროსტატიტის, ცისტიტის, ნევრიტების, რადიკულიტის, გასტრიტის, კოლიტის, ქოლეცისტიტისა და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში. მის: ქ.თბილისი, თ.აბულაძის ქ.20, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 551-25-45-35, ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი 2000კვ. მ, შემოსაზღვრული, სარწყავი წყლით. ფასი: 1 კვ.მ — 3 ლარი. ტელ:. 0790-90-32-96, 253-15-87, 568 -65-74-86.

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

# ნუკრი რევიშვილი: მეკარედ ყაზანში ვიქეცი

საქართველოს ნაკრებისა და რუსეთის პრემიერლიგის „კრანსოდარის" მეკარე ნუკრი რევიშვილმა თავისი ბავშვობის წლები გაიხსენა, მახაჭყალის „ანჟის" დატოვების მიზეზებსა და მისთვის მისაბაძ მეკარეებზე, კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში ისაუბრა.

***— როგორ დაიწყეთ ფეხბურთის თამაში?***

— საქართველოს ქალაქ ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე. ფეხბურთი პატარაობიდანვე შემიყვარდა, თუმცა მშობლებს ჩემი გატაცება დიდად არ მოსწონდათ. მათაც ისევე, როგორც ალბათ ყველა დედას და მამას, სურდათ, რომ შვილს მთელი გულისყური, პირველ რიგში, სწავლისთვის დაეთმო. სამაგიეროდ, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ბაბუა იყო და როდესაც 8 წელი შემისრულდა, მან ჩამკიდა ხელი და საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანა. ჩემმა მშობლებმა ამის შესახებ კვირაზე მეტ ხანს არაფერი იცოდნენ... ჩემი პირველი მწვრთნელი თემურ ნადირაძე იყო, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარაა. ის კარგი ადამიანი და ბრწყინვალე სპეციალისტი იყო. სხვათა შორის, ის წვრთნიდა მალხაზ ასათიანსაც.

***— კარში საკუთარი სურვილით ჩადექით?***

— დიახ, თავიდანვე მეკარეობა მინდოდა. რადგან სიმაღლეც მიწყობდა ხელს, მწვრთნელმა ჩემი სურვილი გაითვალისწინა. ასე რომ, პირველივე დღიდან ამ ამპლუაში ვთამაშობ.

***— ამის შემდეგ როგორ წარიმართა თქვენი კარიერია?***

— უკვე 15 წლისა ქუთაისის „ტორპედოს" მთავარ გუნდში ამიყვანეს. წელიწად-ნახევრის განმავლობაში უფრო-



სებთან ერთად ვვარჯიშობდი, 16 წლისამ კი უკვე საქართველოს ჩემპიონატში თამაში დავიწყე.

***— ცნობილია, რომ იმ პერიოდში საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც დაგასახელეს.***

— მაშინ 18 წლის ვიყავი. ის სეზონი ჩემთვის ერთობ წარმატებული გამოდგა. „ტორპედოს" ძირითადში მუდმივად ვთამაშობდი, ნაკრებშიც მიმიწვიეს, შემდეგ კი ყაზანის „რუბინში" გადავედი.

***— რატომ მაინცდამაინც „რუბინში"?***

— როგორც ჩანს, „რუბინი" მაკვირდებოდა. ქუთაისის „ტორპედო" მაშინ უეფას თასზე გამოდიოდა და ნაკრებშიც რამდენიმე თამაში ჩატარებული მქონდა. ამასთან, ჩემს მენეჯერ მამუკა ჯუღელს კარგი კავშირები ჰქონდა ყაზანელთა მთავარ მწვრთნელ ყურბან ბერდიევთან. შედეგად კი გადავბარგდი რუსეთში და „რუბინთან" კონტრაქტი გავაფორმე.

***— ერთის მხრივ, „რუბინთან" ერთად რუსეთის ორგზის ჩემპიონი გახდით, მეორეს მხრივ კი, თამაში იშვიათად გიწევდათ.***

— 18 წლის ბიჭისთვის რუსეთის პრემიერლიგის ერთ-ერთ წამყვან კლუბში კონკურენციის დაძლევა ურთულესი იყო, მაგრამ ყურბან ბერდიევი მაინც მენდობოდა და მთავარ გუნდშიც საკმაოდ სწრაფად შედგა ჩემი დებიუტი. რამდენიმე მატჩში არცთუ ცუდად გავისარჯე, თუმცა სტაბილურობა მაკლდა. ეს კი მეკარისთვის ერთერთი უმთავრესი ღირსებაა. საერთო ჯამში, ჩემი ბრალია, რომ ის შანსი ვერ გამოვიყენე, რომელიც მომეცა. შემდეგ უკვე ძირითადში დამკვიდრება გაჭირდა — გამოჯანმრთელდა სერგეი რიჟიკოვი, რომელიც ყაზანში ნომერ პირველ მეკარედ დამსახურებულად ითვლებოდა. ყველა შემთხვევაში, ძალიან მადლობელი ვარ იმ ნდობისთვის, რომელიც ყურბან ბერდიევმა და მწვრთნელმა ვიტალი კაფანოვმა ჩემ მიმართ გამოიჩინეს, იმ წლებში ყაზანში შეუფასებელი გამოცდილება მივიღე და ალბათ სწორედ იქ ვიქეცი მეკარედ.

***— მახაჩყალის „ანჟიში" გადაბარგება თამაშის სურვილმა განაპირობა?***

— ნადვილად! „რუბინში" ყველაფერი მომწონდა, მაგრამ სათადარიგოთა შორის ჯდომას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. „ანჟიში" კი ძირითად მეკარედ მიწვევდნენ.

***— როდესაც „ანჟიში" გადადიოდით, ეს კლუბი ბიუჯეტით ვერ დაიკვეხნიდა. დღეს მახაჩყალურ კლუბში მოხვედრას მსოფლიოს ლამის ყველა ფეხბურთელის სურვილი გახდეს, თქვენ კი გუნდის დატოვება გადაწყვიტეთ.***

— „ანჟიში" ყველესწრაფვის, მაგრამ მხოლოდ ვარსკლავები ხვდებიან... იქ ყოფნას მართლაც არაფერი სჯობს, თუკი ძირითადში თამაშობ. მაგრამ რადგან რუსეთში ლეგიონერების ლიმიტის გამკაცრებას აპირებდნენ და ის, ვინც რუსეთის ნაკრებში არ თამაშობს, უცხოელად ჩაითვლებოდა, „ანჟის" პირველ მეკარედ დარჩენის არავითარი შანსი მრჩებოდა — კლუბმა რუსეთის ნაკრების მეკარე ვლადიმირ გაბულოვი შეიძინა. სწორედ ამ მიზეზით, გადავწყვიტე „კრანსოდარში" გადავსულიყავი და რა დასამალია, ამ ნაბიჯს არც ვნანობ. ვიმეორებ, ახლა ჩემთვის უმთავრესი მუმდივად თამაში და გუნდისთვის სარგებლის მოტანაა. ნდობისთვის მადლობა „კრანსოდარის" მთავარ მწვრთნელ სლავოლიუბ მუსლინსა და მეკარეთა მწვრთნელ ალექსანდრ ვოლკოვს. მათ ძალიან კარგად მომამზადეს როგორც ფიზიკურად, ისე — ფსიქოლოგიურად. თუკი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ნდობა ძალიან ბევრს ნიშნავს, მეკარისთვის ის ორმაგად მნიშვნელოვანია. ყველაფერთან ერთად, მე საქართველოს ნაკრების მეკარე ვარ და კლუბში სერიოზული სათამაშო პრაქტიკა მჭირდება. სხვაგვარად ეროვნულ გუნდში ადგილს დავკარგავ.

***— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ „კრასნოდარის" მაისურით ჩატარებულ პირველ მატჩზე?***

— „როსტოვთან" მატჩი მთელი გუნდისთვის და მათ შორის ჩემთვისაც რთული გამოვიდა. თანაც, მე ახალ გუნდში დებიუტი მქონდა და ძალიან მინდოდა, გულშემატკივრების თვალწინ კარგად მეთამაშა. თამაშისთვის საკადრისად განვეწყეთ და მინდა თანაგუნდელებს მადლობა ვუთხრა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ნაკლები სამუშაო მქონოდა. მეც ვცდილობდი, არ დამეღალატებინა ისინი. საბედნიეროდ, გოლი არ გავუშვი. წლის გამარჯვებით დაწყება ყოველთვის სასიამოვნოა, მით უმეტეს, თუ კარს „მშრალად" შეინახავ.

***— ბავშვობაში ვინ იყო თქვენთვის მისაბაძი მეკარე და ვის მიიჩნევთ დღეს უძლიერესად?***

— სანამ თამაშობდა, ედვინ ვან დერ სარი იყო ჩემთვის მისაბაძი. მოქმედი გოლკიპერებიდან სხვებზე მაღლა იკერ კასილიასს დავაყენებ. პერსპექტიულ მეკარეებში კი დევიდ დე ხეას გამოვარჩევ, რომელსაც ვფიქრობ, დიდი მომავალი აქვს.

***— „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი და ამჟამინდელი მეკარე დაასახელეთ. „წითელი ეშმაკების" გულშემატკივარიც ხომ არ ხართ?***

— არა, ბავშვობიდან მოყოლებული მილანის „ინტერს" ვქომაგობ. „ინტერის" გულშემატკივრობა მაშინ დავიწყე, როდესაც ამ გუნდის ღირსებას რონალდო და პალიუკა იცავდნენ. სწორედ მაშინ მოიგეს მათ უეფას თასი და ჩემი გულიც.

# ბოისა: 30 დღე დაველოდები და მერე ფიბა-ს მივმართავ

ვლადიმერ ბოისას ირგვლივ გაურკვევლობა „პანიონიოსის" პრეზიდენტის, ელიას ლიანოსის გამო შეიქმნა. გუნდის ტრავმირებული წევრის, ნიკოს ბარლოსის გამოჯანმრთელების შემდეგ კლუბის ხელმძღვანელმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა, რომ საქართველოს ნაკრების წევრმა „პანიონიოსში" აღარ ითამაშოს. ვოვა კი გუნდში რჩება და კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებს ასრულებს.

ვოვა ამჟამად უგუნდოდ ითვლება და მასთან ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ვოვა ბოისა:

— ორი დღით ლიუბლიანაში ვიყავი, ჩემი ოჯახის წევრები მოვინახულე და ათენში ვბრუნდები — „პანიონიოსის"

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ფაჩულიას დაბლ-დაბლ სერია ქულით შეუწყდა

ზაზა ფაჩულიას მიმდინარე სეზონის მეცხრე ორმაგ დუბლამდე 1 ქულა დააკლდა. თუმცა ეს დიდი დანაკლისი არაა, პირიქით — ზაზამ კარგად ითამაშა და მისმა გუნდმაც მოიგო.

„ატლანტას „ მორიგი მსხვერ-



პლი „კლივლენდი" გამოდგა, რომელიც ჯორჯიელებმა სტუმრად — 103:87 დაამარცხეს. ქართველმა ცენტრმა ხუთეულში — 40 წუთზე მეტ ხანს ითამაშა და პირად ანგარიშზე 9 ქულა, 12 მოხსნა, 2 პასი და თითი ჩაჭრა-დაფარება ჩაიწერა.

ზაზამ 11 ცდიდან 3 ორქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. როგორც აღვნიშნეთ, მას კინკილა ქულა დააკლდა ორმაგ დუბლამდე. ატლანტელთაგან 28 ქულით საუკეთესო ჯო ჯონსონი იყო, კლივლენდელთაგან კი ალონზო გი გამოირჩა 20 ქულით.

ატლანტელებს 26 მოგების წილ 19 მარცხი აქვთ და ისინი აღმოსავლეთ კონფერენციაში აქამდე მეხუთეზე მყოფ „ინდიანას" გაუთანაბრდნენ. მომდევნო ჯახი ატლანტელებს ხვალ ელით — შინაურ არენაზე მათ კვალში მდგარ „ბოსტონს" მასპინძლობენ.

## ფეხბურთი

### ინგლისი. ასოციაციის თასი

ჩელსი-ლესტერი ............ 5:2
ლივერპული-სტოკი ............ 2:1

### ინგლისი. პრემიერლიგა

ვულვზი-მანჩესტერი ............ 0:5
ნიუკასლი-ნორვიჩი ............ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 29 | 22 | 4 | 3 | 73:27 | 70 |
| 2.სიტი | 28 | 21 | 3 | 4 | 69:20 | 66 |
| 3.არსენალი | 28 | 16 | 4 | 8 | 57:39 | 52 |
| 4.ტოტენჰემი | 27 | 16 | 4 | 7 | 52:34 | 52 |
| 5.ჩელსი | 28 | 14 | 7 | 7 | 48:32 | 49 |
| 6.ნიუკასლი | 29 | 13 | 8 | 8 | 41:41 | 47 |
| 7.ლივერპული | 27 | 11 | 8 | 8 | 33:26 | 41 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 10 | 7 | 11 | 36:31 | 37 |
| 9.ევერტონი | 28 | 10 | 7 | 11 | 28:31 | 37 |
| 10.სუონსი | 28 | 9 | 9 | 10 | 32:34 | 36 |
| 11.ფულემი | 29 | 9 | 9 | 10 | 37:40 | 36 |
| 12.ვესტ ბრომვიჩი | 29 | 10 | 6 | 13 | 35:38 | 36 |
| 13.ნორვიჩი | 29 | 9 | 9 | 11 | 39:46 | 36 |
| 14.სტოკი | 28 | 10 | 6 | 12 | 27:39 | 36 |
| 15.ას.ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 21:35 | 33 |
| 16.ბლექბერნი | 28 | 6 | 7 | 15 | 40:60 | 25 |
| 17.ბოლტონი | 28 | 7 | 2 | 19 | 31:57 | 23 |
| 18.ქპრ | 28 | 5 | 7 | 16 | 29:48 | 22 |
| 19.ვულვზი | 29 | 5 | 7 | 17 | 30:63 | 22 |
| 20.უიგანი | 29 | 4 | 10 | 15 | 25:54 | 22 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

კარდიფი-ბარნლი ............ 0:0

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-ვილიარეალი ............ 1:0
მალიორკა-ატლეტიკო ............ 2:1
ბილბაო-ვალენსია ............ 0:3
რეალი-მალაგა ............ 1:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 27 | 23 | 2 | 2 | 89:24 | 71 |
| 2.ბარსელონა | 27 | 19 | 6 | 2 | 77:18 | 63 |
| 3.ვალენსია | 27 | 13 | 8 | 6 | 43:31 | 47 |
| 4.ლევანტე | 27 | 12 | 5 | 10 | 38:37 | 41 |
| 5.მალაგა | 27 | 12 | 5 | 10 | 38:38 | 41 |
| 6.ოსასუნა | 27 | 9 | 12 | 6 | 32:41 | 39 |
| 7.ბილბაო | 27 | 9 | 10 | 8 | 42:37 | 37 |
| 8.რაიო | 27 | 11 | 4 | 12 | 40:43 | 37 |
| 9.ატლეტიკო | 27 | 9 | 9 | 9 | 37:33 | 36 |
| 10.ესპანიოლი | 26 | 10 | 6 | 10 | 32:35 | 36 |
| 11.ხეტაფე | 27 | 9 | 8 | 10 | 27:35 | 35 |
| 12.სევილია | 27 | 8 | 9 | 10 | 27:31 | 33 |
| 13.მალიორკა | 27 | 8 | 9 | 10 | 28:33 | 33 |
| 14.სოსიედადი | 27 | 9 | 6 | 13 | 30:37 | 33 |
| 15.გრანადა | 27 | 9 | 4 | 14 | 24:38 | 31 |
| 16.ბეტისი | 27 | 9 | 3 | 15 | 31:41 | 30 |
| 17.ვილიარეალი | 27 | 6 | 9 | 12 | 27:41 | 27 |
| 18.რასინგი | 26 | 4 | 12 | 10 | 20:36 | 24 |
| 19.ხიხონი | 27 | 6 | 6 | 15 | 25:50 | 24 |
| 20.სარაგოსა | 27 | 4 | 7 | 16 | 22:50 | 19 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ალმერია ............ 1:1
ბარსელონა ბ-ალკორკონი ............ 3:2

### იტალია. სერია ა

კალიარი-ჩეზენა ............ 3:0
ბოლონია-კიევო ............ 2:2
კატანია-ლაციო ............ 1:0
ლეჩე-პალერმო ............ 1:1
ინტერი-ატალანტა ............ 0:0
სიენა-ნოვარა ............ 0:2
უდინეზე-ნაპოლი ............ 2:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 28 | 18 | 6 | 4 | 57:22 | 60 |
| 2.იუვენტუსი | 28 | 14 | 14 | 0 | 44:16 | 56 |
| 3.ლაციო | 28 | 14 | 6 | 8 | 42:34 | 48 |
| 4.ნაპოლი | 28 | 12 | 11 | 5 | 52:30 | 47 |
| 5.უდინეზე | 28 | 13 | 8 | 7 | 39:26 | 47 |
| 6.რომა | 27 | 13 | 5 | 10 | 42:32 | 45 |
| 7.ინტერი | 28 | 12 | 5 | 11 | 38:36 | 41 |
| 8.კატანია | 28 | 10 | 11 | 7 | 36:35 | 41 |
| 9.ბოლონია | 28 | 9 | 9 | 10 | 31:33 | 36 |
| 10.პალერმო | 28 | 10 | 5 | 13 | 40:45 | 35 |
| 11.კიევო | 28 | 9 | 8 | 11 | 24:35 | 35 |
| 12.ატალანტა | 28 | 9 | 13 | 6 | 31:29 | 34 |
| 13.კალიარი | 28 | 8 | 10 | 10 | 29:35 | 34 |
| 14.ჯენოა | 27 | 9 | 6 | 12 | 35:48 | 33 |
| 15.სიენა | 28 | 8 | 8 | 12 | 32:30 | 32 |
| 16.ფიორენტინა | 28 | 8 | 8 | 12 | 27:33 | 32 |
| 17.პარმა | 28 | 7 | 10 | 11 | 33:44 | 31 |
| 18.ლეჩე | 28 | 6 | 8 | 14 | 31:45 | 26 |
| 19.ნოვარა | 28 | 5 | 8 | 15 | 24:46 | 23 |
| 20.ჩეზენა | 28 | 4 | 5 | 19 | 16:45 | 17 |

*ატალანტას დაკლებული აქვს 6 ქულა*

### გერმანია. ბუნდესლიგა

კაიზერი-შალკე ............ 1:4
ჰანოვერი-კიოლნი ............ 4:1

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 26 | 18 | 5 | 3 | 53:16 | 59 |
| 2.ბაიერნი | 26 | 16 | 3 | 6 | 64:17 | 54 |
| 3.შალკე | 26 | 16 | 2 | 8 | 58:34 | 53 |
| 4.გლადბახი | 26 | 15 | 6 | 5 | 39:16 | 51 |
| 5.ლევერკუზ. | 26 | 11 | 7 | 8 | 39:34 | 40 |
| 6.ვერდერი | 26 | 11 | 6 | 9 | 40:39 | 39 |
| 7.ჰანოვერი | 26 | 9 | 11 | 6 | 34:36 | 38 |
| 8.შტუტგარტი | 26 | 10 | 6 | 10 | 43:34 | 36 |
| 9.ვოლფსბურგი | 26 | 10 | 4 | 12 | 34:47 | 34 |
| 10.ნიურნბერგი | 26 | 9 | 4 | 13 | 25:37 | 31 |
| 11.მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 38:41 | 30 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 26 | 7 | 9 | 10 | 29:37 | 30 |
| 13.კიოლნი | 26 | 8 | 4 | 14 | 33:50 | 28 |
| 14.ჰამბურგი | 26 | 6 | 9 | 11 | 30:48 | 27 |
| 15.აუგსბურგი | 26 | 5 | 11 | 10 | 27:40 | 26 |
| 16.ფრაიბურგი | 26 | 6 | 7 | 13 | 33:53 | 25 |
| 17.ჰერტა | 26 | 5 | 8 | 13 | 26:47 | 23 |
| 18.კაიზერი | 26 | 3 | 11 | 12 | 17:36 | 20 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-ჰანზა ............ 2:2

*კარლსრუეს ორივე გოლი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა*

დუისბურგი-ბოხუმი 2:1

### საფრანგეთი. 1 ლიგა

რენი-ტულუზა ............ 0:1
სოშო-ნიცა ............ 2:0
ლილი-ვალანსიენი ............ 4:0

# შედეგები

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 28 | 17 | 8 | 3 | 52:29 | 59 |
| 2.მონპელიე | 28 | 17 | 6 | 5 | 52:27 | 57 |
| 3.ლილი | 28 | 13 | 11 | 4 | 50:31 | 50 |
| 4.ტულუზა | 28 | 13 | 8 | 7 | 30:24 | 47 |
| 5.ლიონი | 28 | 14 | 4 | 10 | 44:35 | 46 |
| 6.სტ.ეტიენი | 28 | 13 | 7 | 8 | 35:30 | 46 |
| 7.რენი | 28 | 12 | 8 | 8 | 37:32 | 44 |
| 8.ბორდო | 28 | 9 | 10 | 8 | 34:31 | 40 |
| 9.მარსელი | 28 | 10 | 9 | 9 | 35:29 | 39 |
| 10.ევიანი | 28 | 9 | 9 | 10 | 41:40 | 36 |
| 11.ვალანსიენი | 28 | 9 | 6 | 13 | 28:34 | 31 |
| 12.ლორიენი | 28 | 7 | 10 | 11 | 27:36 | 31 |
| 13.ბრესტი | 28 | 5 | 15 | 8 | 23:26 | 30 |
| 14.ნანსი | 28 | 7 | 9 | 12 | 26:36 | 30 |
| 15.დიჟონი | 28 | 8 | 6 | 14 | 34:48 | 30 |
| 16.აიაჩო | 28 | 7 | 9 | 12 | 30:48 | 30 |
| 17.კაენი | 28 | 7 | 8 | 13 | 32:42 | 29 |
| 18.ნიცა | 27 | 6 | 9 | 13 | 26:33 | 27 |
| 19.სოშო | 28 | 6 | 9 | 13 | 28:43 | 27 |
| 20.ოსერი | 28 | 4 | 12 | 12 | 33:43 | 24 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

დენ ჰააგი-აიაქსი ............ 0:2
პსვ-ჰერენვენი ............ 5:1
ტვენტე-ფეინოორდი ............ 0:2
უტრეხტი-გრონინგენი ............ 3:1
ალკმაარი-ბრედა ............ 0:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ალკმაარი | 26 | 16 | 5 | 5 | 53:25 | 53 |
| 2.აიაქსი | 26 | 15 | 7 | 4 | 68:33 | 52 |
| 3.პსვ | 26 | 15 | 6 | 5 | 68:38 | 51 |
| 4.ტვენტე | 25 | 14 | 6 | 5 | 66:30 | 48 |
| 5.ფეინოორდი | 26 | 14 | 6 | 6 | 51:32 | 48 |
| 6.ჰერენვენი | 26 | 13 | 9 | 4 | 57:41 | 48 |
| 7.ვიტესი | 26 | 12 | 5 | 9 | 34:29 | 41 |
| 8.ვალვაიკი | 26 | 10 | 4 | 12 | 28:38 | 34 |
| 9.როდა | 26 | 11 | 1 | 14 | 44:56 | 34 |
| 10.ნაიმეგენი | 26 | 10 | 3 | 13 | 30:35 | 33 |
| 11.გრონინგენი | 26 | 9 | 5 | 12 | 37:49 | 32 |
| 12.ერაკლესი | 26 | 8 | 6 | 12 | 39:41 | 30 |
| 13.უტრეხტი | 26 | 7 | 9 | 10 | 39:42 | 30 |
| 14.ბრედა | 26 | 8 | 5 | 13 | 33:39 | 29 |
| 15.დენ ჰააგი | 26 | 7 | 7 | 12 | 29:50 | 28 |
| 16.ვენლო | 26 | 7 | 4 | 15 | 31:58 | 25 |
| 17.ექსელსიორი | 26 | 4 | 6 | 16 | 21:58 | 18 |
| 18.გრააფსხაპი | 25 | 4 | 4 | 17 | 21:55 | 16 |

### პორტუგალია. ა ლიგა

აკადემიკა-ფერეირა ............ 0:1
სეტუბალი-მარიტიმუ ............ 1:1
გიმარაეში-ოლჰანენსე ............ 2:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 23 | 17 | 5 | 1 | 53:16 | 56 |
| 2.ბენფიკა | 23 | 17 | 4 | 2 | 54:21 | 55 |
| 3.ბრაგა | 23 | 17 | 4 | 2 | 51:19 | 55 |
| 4.მარიტიმუ | 23 | 12 | 6 | 5 | 33:25 | 42 |
| 5.სპორტინგი | 22 | 12 | 5 | 5 | 36:17 | 41 |
| 6.გიმარაეში | 23 | 9 | 3 | 10 | 28:30 | 33 |
| 7.ოლჰანენსე | 23 | 6 | 10 | 7 | 30:32 | 28 |
| 8.ნასიონალი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:41 | 26 |
| 9.რიუ ავე | 23 | 7 | 3 | 13 | 24:28 | 24 |
| 10.ფერეირა | 23 | 7 | 3 | 13 | 27:42 | 24 |
| 11.აკადემიკა | 23 | 5 | 8 | 10 | 21:29 | 23 |
| 12.ჟილ ვისენტე | 22 | 5 | 8 | 9 | 20:33 | 23 |
| 13.ბეირა მარი | 23 | 5 | 5 | 13 | 18:27 | 20 |
| 14.სეტუბალი | 23 | 5 | 6 | 12 | 20:41 | 21 |
| 15.ლეირია | 23 | 5 | 3 | 15 | 21:43 | 18 |
| 16.ფეირენსე | 23 | 3 | 8 | 12 | 17:37 | 16 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

ა ჯგუფი

ყუბანი-რუბინი ............ 1:0
ლოკომოტივი-ანჟი ............ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 35 | 19 | 13 | 3 | 69:30 | 70 |
| 2.ცსკა | 34 | 16 | 13 | 5 | 63:36 | 61 |
| 3.ლოკომოტივი | 35 | 17 | 9 | 9 | 53:34 | 60 |
| 4.დინამო | 35 | 17 | 8 | 10 | 55:40 | 59 |
| 5.სპარტაკი | 34 | 16 | 11 | 7 | 52:35 | 59 |
| 6.რუბინი | 35 | 15 | 12 | 8 | 45:30 | 57 |
| 7.ანჟი | 35 | 15 | 11 | 9 | 41:34 | 56 |
| 8.ყუბანი | 35 | 15 | 9 | 11 | 42:33 | 54 |

ბ ჯგუფი

ამკარი-ტომი ............ 0:0
კრ.სოვეტოვი-ნალჩიკი ............ 1:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9.კრასნოდარი | 35 | 13 | 9 | 13 | 45:49 | 48 |
| 10.ტერეკი | 35 | 11 | 8 | 16 | 34:49 | 41 |
| 11.როსტოვი | 35 | 10 | 9 | 16 | 36:49 | 39 |
| 12.ამკარი | 36 | 9 | 12 | 15 | 27:43 | 39 |
| 13.კრ.სოვეტოვი | 35 | 8 | 10 | 17 | 24:46 | 34 |
| 14.ვოლგა | 35 | 9 | 4 | 22 | 27:46 | 31 |
| 15.ნალჩიკი | 35 | 6 | 9 | 20 | 29:47 | 27 |
| 16.ტომი | 36 | 5 | 11 | 20 | 21:62 | 26 |

### შოტლანდია. ლიგის თასი

ფინალი

სელტიკი-კილმანროკი ............ 0:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰართსი-ჰიბერნიანი ............ 2:0

### შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ციურიხი ............ 1:1
თუნი-ლოზანა ............ 2:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-შტურმი ............ 2:0

### ბელგია. პროლიგა

ვესტერლო-გენკი ............ 3:2
გენტი-კორტრაიკი ............ 3:1
ბეერსხოტი-ლოკერენი ............ 2:2
ვარეგემი-მეხელენი ............ 2:0
ლიერსი-მონსი ............ 1:1
სერკლი-ბრიუგე ............ 1:2
სენტ ტრუიდენი-ანდერლეხტი ............ 2:2
სტანდარდი-ევერლე ............ 4:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-იანინა ............ 1:2
ლევადიაკოსი-ატრომიტოსი ............ 2:2
პანიონიოსი-დოჰა ............ 2:0
პანეთოლიკოსი-პაოკი ............ 1:1

### თურქეთი. სუპერლიგა

მერსინი-ისთანბული ............ 2:0
გაზიანთები-ქარაბუქი ............ 3:0
ქაისერი-სამსუნი ............ 2:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბუდეოვიცე-სლოვაცკო ............ 2:2
ბოლესლავი-პრჟიბრჟამი ............ 2:2
ბოჰემიანსი 1905-ჰრადეც კრალოვე 0:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

შლიონსკი-კრაკოვია ............ 3:0
რუხი-პოდბესკიჟიე ............ 2:2

### უკრაინა. პრემიერლიგა

ობოლონი-ვოლინი ............ 1:0
დინამო-დნიპრო ............ 2:0
ოლექსანდრია-მეტალურგი(დ) .... 0:0

### დანია. სას ლიგა

ლუნგბიუ-ოდენსე ............ 1:0
ნორდსიელანდი-ბრონდბიუ ............ 1:2
სონდერიისკე-სილკებორგი ............ 2:4
კოპენჰაგენი-მიდტიულანდი ............ 0:0

### აშშ. მლს

ფილადელფია-კოლორადო ............ 1:2
ლოს ანჯელესი-დ.ს.იუნაიტედი .. 3:1

### არგენტინა. კლაუსურა

სან ლორენცო-კოლონი ............ 1:1
სან მარტინი-ბოკა ............ 0:1
სარანდი-ბანფილდი ............ 1:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

კლივლენდი-ატლანტა ............ 87:103

*ზაზა ფაჩულია: 9 ქულა, 12 მოხსნა*

კლიპერსი-დეტროიტი ....... 87:83(ოტ)
მემფისი-ვაშინგტონი ............ 97:92
საკრამენტო-მინესოტა ............ 115:99
მაიამი-ორლანდო ............ 91:81
ფინიქსი-ჰიუსტონი ............ 99:86
ლეიკერსი-იუტა ............ 99:103
ოკლაჰომა-პორტლენდი ............ 111:95

## ჩოგბურთი

### ატპ. ინდიანა უელსი. პრიზი

ფინალი

ფედერერი-ისნერი ............ 7:6;6:3

### ვტა. ინდიანა უელსი. პრიზი

ფინალი

აზარენკა-შარაპოვა ............ 6:2;6:3

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

ფილადელფია-პიტსბურგი ... 3:2(ოტ)
ჩიკაგო-ვაშინგტონი ............ 5:2
ანაჰაიმი-ნეშვილი ............ 1:3
კალგარი-კოლამბუსი ............ 1:1(0:1ბ)
ედმონტონი-ფინიქსი ............ 2:2(0:1ბ)
ვინიპეგი-კაროლინა ............ 3:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# დამასკოში 80 ადამიანია დაღუპული



სულ მცირე 80 ადამიანი დაიღუპა დღეს სირიის დედაქალაქ დამასკოში მომხდარი შეტაკებისას. მათ შორის 50 დაღუპული სირიის სამთავრობო ჯარების წარმომადგენელია.

– დაახლოებით 50 დაღუპული სამთავრობო ძალების წევრია, მათ შორის არის ოფიცერი ჰაიტამ ალ-აბდულაც არის, – განაცხადა ამბოხებულების აქტივისტმა.

თვითმხილველები იუწყებიან, რომ სამთავრობო არმია თანდათან მთელს დამასკოს იკავებს და „ქალაქი ერთ დიდ ყაზარმას გავს".

ამ დროისთვის, სირიის დედაქალაქში ოპოზიციასა და სამთავრობო ძალებს შორის ბრძოლა მიმდინარეობს.

თვითმხილველთა მონათხრობით, ქალაქში ყუმბარსნტყორცნებიდან და ნაღმტყორცნებიდან ისვრიან. გამორთულია ელექტროენერგია.

ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი" „როიტერზე" დაყრდნობით ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ გუშინ ქალაქში მომხდარი აფეთქების შედეგად ორი ადამიანი გარდაიცვალა, 30 – მდე კი დაიჭრა.

მანამდე ერთი დღით ადრე კი აფეთქებას 27 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი აცხადებს, რომ სირიის სამთავრობო ჯარები „იმ შეიარაღებული ბანდიტების წინააღმდეგ იბრძვიან, რომლებიც სირიაში სიტუაციის დესტაბილებას ცდილობენ".

გაეროს მონაცემებით, ერთი წლის განმავლბაში სირიაში მიმდინარე დაპირისპირების შედეგად უკვე დაღუპულია 8 ათასზე მეტი ადამიანი.

„მე მსურდა მოვმკვდარიყავი", – ასეთი სახელწოდების მოხსენება გამოაქვეყნა ორგანიზაცია „ემნისტი ინტერნეიშენალმა", რომელიც სირიიდან დევნილ ადამიანთა მონათხრობის მიხედვით, ბაშარ ასადის რეჟიმის მიერ გამოყენებული წამების მეთოდებს აღწერს.

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციის წევრები სირიიდან იორდანიაში გაქცეულ ადამიანებს შეხვდნენ. მათი უმრავლესობა ყვება, რომ ასადის ციხეებში წამების უსასტიკესი მეთოდების მსხვერპლნი გახდნენ.

„საშინელებათა კატალოგში" საუბარია წამების იმ 30-მდე მეთოდზე, რომლითაც ჯალათები სირიის რეჟიმის მოწინააღდეგეებს სჯიან. ესენია: ე.წ. „მფრინავი ხალიჩა", „გერმანული სკამი", „ავტომობილის საბურავი".

ყველაზე პოპულარულია ე.წ. „სადღესასწაულო მიღება" და „კამასუტრასთან" ადაპტირებული წამების მეთოდი.

საერთაშორისო ორგანიზაცია წერს, რომ ადამიანს, რომელსაც სირიის სამთავრობო ძალები ხელთ იგდებენ, პირველ რიგში, სხვადასხვა მეთოდებით აწამებენ. იყენებენ ელექტროშოკს, ადამიანებს ჰკიდებენ კაუჭზე და ურტყამენ, ტენიან ავტომანქანის საბურავში, იყენებენ ხის მოწყობილობას, რომელშიც ადამიანი იძულებულია არაბუნებრივ მდგომარეობაში იყოს. მიმართავენ შოკისმომგვრელ სექსუალური ხასიათის წამების მეთოდებს. თავზე აცმევენ რეზინის ნაჭერს და ურტყამენ, უერთებენ დენს მას შემდეგმ, რაც წყალს გადაასხამენ.უფლებადამცველები სირიის რეჟიმის გასამართლებას მოითხოვენ.

**გერა მამულაშვილი**

# ქურთული კულტურა საჯაროა

**ეკა ირემაშვილი**

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა სათემო ცენტრ „საქართველოს ეზიდთა სახლთან" ერთად ხელოვნებით დაინტერესებულ საზოგადოებას შესთავაზა გამოფენა სახელწოდებით „ქურთული მატერიალური კულტურა საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან".

ექსპოზიცია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა. როგორც ეროვნული მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ანა ვერულაშვილმა განაცხადა, გამოფენა ეზიდთა დღესასწაულ „კლოჭა სარე სალეს" მიეძღვნა და სწორედ ამიტომ ეზიდების მატერიალური კულტურისა და ყოფის უნიკალური ნიმუშების გამოფენა, რომელიც XIX საუკუნეს მოიცავს, საჯარო გახდა.

– ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები საუკუნეზე მეტი ინახებოდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში. გამოფენაზე წარმოდგენილია ცნობილი გერმანელი მხატვრის მაქს ტილკეს მიერ შესრულებული ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი ტიპები და ზოგადად ქურთული სამოსელი. ასევე, ქალის სამკაულები და ამულეტები, ხალიჩური ნაწარმი, საბრძოლო იარაღები, საოჯახო და საყოფაცხოვრებო საგნები, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში ქურთული მატერიალური კულტურა 22 აპრილამდე იქნება წარმოდგენილი, 25 მარტამდე მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ, აღნიშნული გამოფენა უფასოდ დაათვალიერონ.

ქურთული ნამუშევრების გამოფენის პარალელურად, საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა მხატვარ ბუდუ სირბილაძის ნამუშევართა გამოფენაც წარმოადგინა, რომელიც მხატვრის 75 წლის იუბილეს მიეძღვნა. „ენა, მამული, სარწმუნოება" – ასე ეწოდება გამოფენას, რომელიც სხვადასხვა ჟანრში შესრულებულ ფერწერულ ტილოებს აერთიანებს. ბუდუ სირბილაძე ძველი თაობის მხატვართა ჯგუფს მიეკუთვნება. მას ცნობილი პედაგოგები ასწავლიდნენ.

– „ენა, მამული, სარწმუნოება", – ასე დავარქვი ჩემს საიუბილეო გამოფენას, რომელზეც ძირითადად ბოლო პერიოდის ნამუშევრები გამოვფინე. ასეთი სახელწოდება ექსპოზიციას იმიტომ შევურჩიე, რომ სწორედ ენა, მამული და სარწმუნოებაა ჩემი ცხოვრების და შემოქმედების აზრი, მამოძრავებელი ძალა, – აღნიშნა იუბილარმა მხატვარმა.

იუბილარი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში 25 მარტამდე გაგრძელდება.

დასაწყისი მე-9 გვერდზე

# ბოისა: 30 დღე დაველოდები და მერე ფიბა-ს მივმართავ

ვარჯიშზე უნდა მივიდე.

***– საბერძნეთის გასულ ტურში განაცხადში არ ყოფილხართ. „პანიონიოსის" ვებ-გვერდზე გუნდის შემადგენლობაში თქვენი გვარი ვერ ვიპოვეთ. რის გამო ხდება ეს?***

– მას შემდეგ, რაც გუნდს ტრავმირებული მოთამაშე ნიკოს ბარლოსი დაუბრუნდა, გუნდის მწვრთნელმა დამიბარა და მითხრა, რომ კლუბის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით განაცხადში შენს ადგილს ბარლოსი დაიკავებსო. მწვრთნელ გიორგოს ბარძოკასთან ახლო ურთიერთობა მაქვს, მაგრამ როგორც ჩანს, ის არ წყვეტს ამ საკითხს. როგორც ვიცი, კლუბის მფლობელს არ სურს, რომ ხელფასი გადამიხადოს.

***– თუ აქვს ამის უფლება?***

– მართალია, გუნდმა 3 თვის წინ ტრავმირებული ნიკოს ბარლოსის ნაცვლად ამიყვანა, მაგრამ კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გამიფორმა და ვალდებულია, პირობები შეასრულოს. ჯერჯერობით ყველაფერი სრულდება, ათენში, ჩემს ბინაში ვცხოვრობ და ვარჯიშებზე დავდივარ. ერთი ისაა, რომ ძირითად შემადგენლობაში აღარ ვარ და თავისთავად არც სამატჩო განაცხადში ვხვდები.

***– კლუბის ხელმძღვანელობასთან უფრო კონკრეტულად ხომ არ გილაპარაკიათ?***

– მხოლოდ მწვრთნელს ვესაუბრე, გენერალურ მენეჯერთან, ან ვინმე ხელმძღვანელთან კონტაქტი არ მქონია. მხოლოდ ის ვიცი, რომ მათ სურთ, რომ გუნდი დავტოვო. გუნდში ახლა 14 მოთამაშეა და სავარაუდოდ კიდევ ერთი კალათბურთელი ჩემს სიტუაციაში აღმოჩნდება. არავის, მით უმეტეს, ბერძნებს არ სურთ, რომ ზედმეტ მოთამაშეებს გადაუხადონ ხელფასი.

***– ახლა რას აპირებთ?***

– ეს ამბავი ერთი კვირის წინ მოხდა. კონტრაქტის თანახმად, თუკი გუნდი ხელფასს 30 დღის განმავლობაში დააგვიანებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ზომების მიღება. ჯერჯერობით ველოდები და თუ აღნიშნულ ვადაში ხელფასს არ მომცემენ, შემდეგ უკვე ფიბა-ს არბიტრაჟს მივმართავ. სიმშვიდეს ვინარჩუნებ, ვარ კლუბში და ვარჯიშებზეც დავდივარ. ვასრულებ კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა ჩემს ვალდებულებას, რადგან თუკი საქმე სასამართლომდე მივა, კლუბის ხელმძღვანელებს თავის გამართლების რაიმე არგუმენტი რომ არ ჰქონდეთ.

***– ბერძნულ პრესაში დაიწერა, რომ „პანიონიოსის" პრეზიდენტმა თქვენს მენეჯერს ახალი კლუბის მოძებნა სთხოვა.***

– ჩემი მენეჯერი კლუბის ძიებას უკვე შეუდგა და თუკი შესაფერის ვარიანტს იპოვის, „პანიონიოსს" უმტკივნეულოდ დავშორდები. კონტრაქტი კიდევ 2 თვე მაქვს და თუკი რომელიმე გუნდი დარჩენილი ხელფასის ანაზღაურებას დათანხმდება, ბუნებრივია, იქ გადავალ.

# ევრაზიის კავშირის" სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობა მიმდინარეობს

კრემლი პოსტსაბჭოთა სივრცის გაერთიანებას მცდელობას არ აკლებს. ამ მიზნით, ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო რუსეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფება. ლუკაშენკო ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობის სახელმწიფოთაშორისი საბჭოს სხდომაში მიიღებს მონაწილეობას, რომელზეც ევრაზიის სივრცეში ინტეგრაციის სამომავლო საკითხებს განიხილავენ.

სხდომაში რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, ასევე სომხეთის, მოლდოვასა და უკრაინის ლიდერები მიიღებენ მონაწილეობას. თავის მხრივ, ვიქტორ იანუკოვიჩი აცხადებს, რომ „ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის კავშირში გაწევრიანებას არ ვიჩქარებთ".

– უკრაინა ჯერ მხოლოდ აკვირდება ევრაზიის ეკონომიკურ თანამშრომლობას და მას ამჟამად არ შეუძლია თქვას, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისთვის ამ თანამეგობრობაში გაერთიანება, – განცხადება უკრაინის პრეზიდენტმა რუსულ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

დასაწყისი მე-7 გვერდზე

# რატომ ყიდის სააკაშვილი ტყეებს

ბენ ხელშეკრულებებს, სინამდვილეში კი მფლობელები თვითონ ან მათი ოჯახის წევრები იქნებიან.

***–ბატონო ლაშა, წარმოდგენილი კანონპროექტების ინიციატორები ვინ არიან?***

– ერთ შემთხვევაში, პირადად მიხეილ სააკაშვილი, ხოლო მეორე შემთხვევაში – ენერგეტიკის სამინისტრო. პროექტში ჩამოთვლილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები, რომლის მიხედვით ეპატიება ფულის სანაცვლოდ კომპანიას, ან კერძო პირს, რომელიც გარემოს გაანადგურებს. საკმაოდ წარმოდგენელ რამესთან გვაქვს საქმე, ანუ კანონპროექტში პირდაპირ წერია, რომ კომპანიას, რომელიც დადებს ხელშეკრულებას ენერგეტიკის სამინისტროსთან, ეძლევა უფლება, კონკრეტულ ტერიტორიაზე, რომელიც გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულებაში, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ უნდა მძიმე და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს გარემოს, იქნება ეს რადიაციული მოწამვლა, ტყის განადგურება, წყლის გაბინძურება და ა,შ. ამ კანონპროექტის კანონად ქცევა ნიშნავს თითოეული ჩვენგანის სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის შექმნას., ბუნებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

***– როგორ ფიქრობთ, რა მიზანი აქვს ხელისუფლებას, რატომ უნდა ასეთი ცვლილებების შეტანა კანონში?***

– მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც არის ინიციატორი „ბუნების დაცვის შესახებ" კანონში ცვლილებებისა, გადაწყვიტა, უკვე ღიად და დაუფარავად აკეთოს ფული ჩვენი სიცოცხლის ფასად. ამას ნიშნავს ეს კანონპროექტი, ვინაიდან აქ წერია, თუნდაც რადიაციული ნარჩენები, თუნდაც ქიმიური დაბინძურება, ტყის მასობრივი ჩეხვა, წყლის დაბინძურება, ყველაფერი დასაშვებია, თუ გადაიხდი ფულს. შესაბამისად, ნათელია, თუ რისთვის სჭირდებათ ეს ცვლილებები.

***– როგორ აპირებთ ხელის შეშლას, რომ ეს კანონი ვერ მიიღონ?***

– „გრიმფისის" მხარდამჭერთა ჯგუფი ხელისუფლების წინააღმდეგ აპირებს აქტიური ქმედებების განხორციელებას. მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას, რადგან ეს ცვლილება პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლს, ხოლო მეორე მხრივ, სასურველია საპროტესტო მოქმედებების დაწყება არა მხოლოდ ჩვენი მხრიდან, რადგან ეს არის პირდაპირი გამოწვევა თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებისთვის. სააკაშვილმა ამ კანონპროექტით ძალიან ღიად თქვა, რომ მას საკუთარი ფინანსური ინტერესებისთვის შეუძლია ადამიანების სიცოცხლე მასობრივად დააყენოს საფრთხის ქვეშ.

***– საკუთარი ფინანსური ინტერესებისთვის?***

– დიახ, დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი საკუთარი ფინანსური ინტერესის გამო აკეთებს ამას. ფორმალურად გარკვეული თანხები ბიუჯეტში შევა, მაგრამ ჩვენ ვიცით, ეს რატომაც კეთდება.

***– რატომ კეთდება, ნაციონალებს ფული საარჩევნოდ დასჭირდათ?***

– შესაძლებელია, მაგრამ არჩევნებზე გაცილებით მძიმე თემაზეა საუბარი. თუნდაც აქ კორუფციული ინტერესი არ იყოს და იყოს სახელმწიფოებრივი, ხელისუფლების ეს ნაბიჯი მაინც გაუმართლებელია. სახელმწიფო არსებობს ადამიანის სიცოცხლისთვის. ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ბუნების განადგურება ფულის სანაცვლოდ არ შეიძლება. მსგავსი რამ არც ერთ კოლონიურ ქვეყანაში არ გაუკეთებიათ. მიხეილ სააკაშვილმა კი განაცხადა, რომ შეუძლია ასეთი რამ გააკეთოს.

# ავთანდილ მახარაძე ვარსკვლავოსანია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ასევე კინოში. მიგვაჩნია, რომ კულტურის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება – მისთვის ვარსკვლავის გახსნა – ნამდვილად იყო დროული და სწორი. ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ვარსკვლავი შეიძლება გახდეს სტიმული ამ მსახიობისთვის, მის კარიერაში ახალი ეტაპის დაწყებისა.

**თემურ ჩხეიძე, რეჟისორი:**

– მიმაჩნია, რომ ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სერიოზული ცოდვა დაუფასებლობაა. როცა ადამიანის ღირსეული დაფასება ხდება, ეს ნამდვილად მისასალმებელია. ავთო ხომ არ არის 20 წლის ბიჭი, რომ ნახო, მის შემოქმედებაში რა პერსპექტივა იქნება, მან უკვე ცხოვრება განვლო და საკმაოდ დიდი გამოცდილებაც აქვს. მისი ვარსკვლავი მიხარია, რადგან დრომ გამოაჩინა – ის მაგარია!

**თათული დოლიძე, მსახიობი:**

– ჩემთვის ეს საღამო საოცრად ემოციური და ამაღელვებელი იყო. აღმოვაჩინე, რომ ავთო ჩვენთან ერთად არ არის თეატრში და ის საოცრად გვაკლია. მინდა, რომ შევეკითხო, რატომ წავიდა ასე ადრე თეატრიდან, მაგრამ თან არც მინდა – ვიცი, რომ პასუხიც ექნება, მე კი ამ პასუხის მოსმენა არ მსურს. ვულოცავ კიდევ ერთხელ ჩემს საყვარელ ადამიანს ვარსკვლავის გახსნას, წარმატებებს და ჯანმრთელობას ვუსურვებ.



## hჳჯცღჯჳლბ ,

**შვეულად:** 2. ჭადრაკის ფიგურა; 3. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 4. წყალქვეშა სასუნთქი აპარატი; 5. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 6. ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 8. პრობლემური საერთაშორისო მოლაპარაკების ერთ-ერთი ეტაპი; 11. ბეისბოლისტის ერთ-ერთი ამპლუა; 14. პრეზიდენტისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცესი; 15. ქიმიური ელემენტი აირი; 16. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 17. აეროპორტი ტოკიოში; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 21. ხეებზე ბინადარი პატარა დათვი; 22. ქართული ხალხური თამაში ქამრებით.

**თარაზულად:** 1. სამხედრო მოსამსახურეს სრული აღჭურვილობა იარაღის გარეშე; 4. წყლის ნაპირებთან ბინადარი კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 7. პოემა „ალუდა ქეთელაურის" პერსონაჟი; 9. თანამედროვე ქართველი მხატვარი ქალი; 10. არმიაში ახლადგაწვეული ჯარისკაცი; 12. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 13. საწვავი სითხე; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 17. ბრიტანული ლუდხანა; 18. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 20. ცნობილი იტალიელი ფეხბურთის მწვრთნელი; 22. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 23. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 24. მოყვითალო. სურნელოვან ყვავილებიანი ფოთლოვანი ხე; 25. კვების გარკვეული რეჟიმი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჳჯცღჯჳლბცფ ღფ ციფყღჯჳლბც გფცეႡც,ბ5

**სკანვორდის პასუხები:**

1. კაა; 2. იერემია; 3. რეი; 4. მზე; 5. სამაია; 6. ანოა; 7. ალაგე; 8. ანოსმია; 9. რუბატო; 10. ანგორა; 11. პარმეზანი; 12. ალუბალი; 13. ბანი; 14. ონაგრი; 15. სუ; 16. მუდარა; 17. მარაო; 18. ალმა; 19. პასტორალი; 20. სე; 21. კაპიტელი; 22. ოსანა; 23. ტერაკოტა; 24. დენდი; 25. მიკადო; 26. ქიმია; 27. სინეკურა; 28. კუ; 29. მის; 30. ნოკდაუნი; 31. მუმუ; 32. ქისა.

**სურათებზე:** კაროლ ბუკე; მარიო ბალოტელი

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ზურმუხტი; 7. ორატორი; 8. სამაია; 10. კოშმარი; 12. ტვინი; 13. მაისი; 14. პანგოლინი; 18. მერილ; 20. კვაისა; 23. მაკაკი; 24. სარი; 25. პარიზი; 26. ტალი; 27. ადონისი.

**შვეულად:** 1. გუთანი; 2. პიტნა; 3. ლეირდი; 4. კვარტა; 6. ლოსიონი; 9. ნოინი; 11. მიკრონი; 15. ობივატელი; 16. ავგური; 17. ლიმუზუნი; 19. ლიგნინი; 21. კასკადი; 22. იამატო.

# უკრაინა გაზზე მოლაპარაკებებს სლოვაკეთთან, რუმინეთსა და თურქეთთან აწარმოებს

უკრაინა გაზის შესყიდვაზე მოლაპარაკებებს სლოვაკეთთან, რუმინეთთან და თურქეთთან აწარმოებს. უკრაინის „ნეფტოგაზის" ხელმძღვანელ ევგენი ბაკულინის განცხადებით, გაზის ევროპელ მომწოდებლებთან მოლაპარაკებები მას შემდეგ განახლდა, რაც ნათელი გახდა, რომ ბუნებრივი აირის ფასის შემცირებასთან დაკავშირებით რუსეთი უკრაინასთან დათმობაზე წასვლას არ აპირებს. მანამდე, ბუნებრივ აირზე დაწესებული ფასით უკმაყოფილება უკრაინის პრეზიდენტმაც გამოხატა და განაცხადა, რომ ეს ფასი დაუსაბუთებლად მაღალი ეჩვენება.




— ჩვენ არ შეგვიძლია ასეთი დაუსაბუთებელი ფული და დაუსაბუთებელი ფასი გადავიხადოთ ამ გაზში. ეს არასწორია და უსამართლო. უკრაინელი ხალხი ამას გრძნობს. ამიტომ, ეს თემა მეტად მტკივნეულია და ის უნდა მოიხსნას, — განაცხადა ვიქტორ იანუკოვიჩმა საგულისხმოა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ეს განცხადება მოსკოვში ორდღიანი ვიზიტის წინ გააკეთა. პასუხად რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკიმ, რომელიც გაზის საკითხზე უკრაინასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, განაცხადა, რომ „კიევთან გაზის საკითხზე მოლაპარაკებებისთვის პოლიტიკური კონტექსტის მინიჭება არ ღირს".

უთანხმოება რუსეთსა და უკრაინას შორის გაზის მიწოდების თაობაზე — ეკონომიკურ კონფლიქტთა სერიაა რუსეთის კომპანია „გაზრპომსა" და უკრაინის კომპანია „ნაფტოგაზს" შორის ბუნებრივი აირის დავალიანების, მიწოდებისა და ტრანზიტის შესახებ. სიტუაციას ამწვავებს უკრაინის, რუსეთისა და ევროპის ურთიერთდამოკიდებულება ბუნებრივი აირით ვაჭრობაში: უკრაინა მისთვის საჭირო ბუნებრივი აირის უმეტეს წილს რუსეთისგან იღებს, ამავე დროს ის უზრუნველყოფს ტრანზიტის უმეტეს წილს (109,9 მლრდ $მ^3$ 2008 წლის 11 თვისთვის), ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანა (დაახ. 50 მლრდ $მ^3$ წელიწადში ბელორუსიის გავლით და 10 მლრდ $მ^3$ წელიწადში თურქეთში). ევროპის ქვეყნები საკუთარი გაზის მოთხოვნის მეოთხედს რუსეთისგან იღებენ.

პირველი მნიშვნელოვანი უთანხმოება რუსეთსა და უკრაინას შორის გაზის მიწოდებაზე 2005-2006 წელს განპირობებული იყო რუსული კონცერნი „გაზპრომის" მიერ უკრაინისთვის მიწიდებულ ბუნებრივ აირზე ფასის მომატების სურვილით. ეს ნაბიჯი „გაზპრომის" მხრივ განპირობებული იყო ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკისთვის გაზის საექსპორტო ფასებისთვის გათანასწორების სურვილით.

2005 წლის მარტში „ნაფტოგაზ უკრაინის" ახლადდანიშნულმა თავმჯდომარემ ალექსეი ივჩენკომ გაზპრომს შესთავაზა უარი ეთქვა ანგარიშსწორების ბარტერულ სქემაზე, ანუ პირდაპირ ფულად ანგარიშსწორებაზე გადასვლა, რაც ასევე მოიცავდა რუსული გაზის ევროპაში ტრანზიტის ტარიფის გადახედვას. ამავე წლის 26 მარტს უკრაინამ გაზპრომს შესთავაზა 2006 წლიდან ტრანზიტზე ტარიფის გაზრდა 1,75-2 დოლარი/ათას $მ^3$ 100 კმ-ზე.

2005 წლის ივნისის დასაწყისში „გაზპრომმა" უკრაინას შესთავაზა 2006 წლიდან გაეზარდათ ფასი რუსულ გაზზე საშუალოევროპულ დონემდე (160-170 დოლარი/ათას $მ^3$), ევროპაში გაზის ტრანზიტზე ფასის ზრდასთან ერთად, რაც ასევე მოიცავდა სრულ ფულად ანგარიშსწორებაზე გადასვლას.

2005 წლის ივნისში უკრაინის იმდროინდელი ვიცე-პრემიერი ანატოლი კინახი კატეგორიულად უარყოფს რუსულ შემოთავაზებას და მოითხოვს გაზის მოწოდებაზე მიმდინარე შეთანხმების 2013 წლამდე გაგრძელებას. წინააღმდეგობა უკრაინის მხრიდან გრძელდებოდა დეკემბრამდე. ამასობაში, რუსეთის მოთხოვნები სულ უფრო მკაცრდებოდა. 2005 წლის დეკემბრისთვის უკრაინის და რუსეთის წარმომადგენლები მოლაპარაკებებიდან სიტყვიერ ომზე გადადიან. გაზის საკითხი სამთავრობო დონეზე გადადის ორივე ქვეყნისთვის და ნოემბრიდან ამ საკითხით დაკავდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი მიხეილ ფრადკოვი. უკრაინა ფაქტიური ულტიმატუმის წინაშე დადგა — 1 დეკემბრამდე უნდა მიელო რუსულ ფასი 160 დოლარი/ათას $მ^3$-ზე.

უკრაინისგან უარის მიღების გამო მიხეილ ფრადკოვმა დემონსტრაციულად გააუქმა დეკემბრის დასაწყისისთვის დაგეგმილი ვიზიტი უკრაინაში.

2006 წლისთვის გაზის მიწოდების თაობაზე კონტრაქტების მოუწერლობის გამო 2006 წლის 1 იანვრიდან უკრაინას გაზის მიწოდება რუსეთიდან შეუწყდა. თუმცა, ვინაიდან ევროპას რუსული გაზის უმეტესობა უკრაინის გაზტრანსპორტის ქსელით მიეწოდებოდა, უკრაინამ, რუსეთის განცხადებით, დაიწყო ევროპისთვის განკუთვნილი გაზის საკუთარი მიზნებისთვის არასანქციონირებული ხარჯვა.

2005-06 წლის კონფლიქტი ფორმალურად დასრულდა 4 იანვარს შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც ოფიციალური განცხადებებით ორივე მხარეს აკმაყოფილებდა. თუმცა, უკრაინის უზენაესმა რადამ ამ შეთანხმების ხელმოწერა გამოიყენა უკრაინის პრეზიდენტთან ვიქტორ იუშენკოსთან ურთიერთობის გასამწვავებლად, იური ეხანუროვის მთავრობის გადაყენებით. შემდეგი უთანხმოება გაზის თაობაზე წარმოჩინდა 2007 წლის ოქტომბერში გაზის დავალიანების გამო, რაც 2008 წლის მარტში გაზის მიწოდების შემცირებით დასრულდა.

2008 წლის ბოლო თვეებში ურთიერთობა „გაზპრომსა" და უკრაინას შორის უკიდურესად დაიძაბა უკრაინის დავალიანების რაოდენობაზე შეუთანხმებლობის გამო.

2009 წლის იანვარში ეს უთანხმოება დასრულდა „გაზპრომის" მიერ უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით (მის ტერიტორიაზე ტრანზიტის ჩათვლით), რამაც ასევე შეუწყვიტა გაზის მიწოდება ბოსნია-ჰერცეგოვინას, ბულგარეთს, ხორვატიას, საბერძნეთს, უნგრეთს, მაკედონიას, რუმინეთს, სლოვენიას, სერბეთს, თურქეთს, და შეამცირა მიწოდება ევროპის დანარჩენი ქვეყნებისთვის. 2009 წლის 18 იანვარს მოსკოვში ჩატარდა მოლაპარაკებები უკრაინისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრებს შორის. მიღწეულ იქნა შეთანხმება 2009 წლის 1 იანვრიდან რუსეთსა და უკრაინას შორის ფასების განსაზღვრის ევროპულ ფორმულაზე გადასვლისა და ევროპელი მომხმარებლებისთვის რუსეთის გაზის ტრანზიტის დაუყოვნებლივი აღდგენის შესახებ.

ამასთან, 2009 წელს უკრაინა იღებს 20%-იან ფასდაკლებას გაზის ტარიფზე, ხოლო რუსეთს მიეცემა შეღავათიანი ტარიფი ტრანზიტზე (2008 წლის ფასებით). შეთანხმების კიდევ ერთ შედეგად ითვლება გაზპრომსა და ნაფტოგაზს შორის პირდაპირი კონტრაქტის გაფორმება (როსუკრენერგოს შუამავლობის გარეშე). 2009 წლის 20 იანვარს მოსკოვის პრესკონფერენციაზე გაზპრომის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე მედვედევმა განაცხადა, რომ გაზპრომის შვილობილი კომპანია „გაზპრომ სბიტ უკრაინა" მიიღებს უკრაინის ბაზრის 25%, რაც, მისი სიტყვებით, „გაზპრომსა" და „ნაფტოგაზს" შორის კონტრაქტის ნაწილია. ცნობისთვის, გაზპრომი — უდიდესი რუსული კომპანია და ბუნებრივი აირის უმსხვილესი მწარმოებელი (მრეწავი) მსოფლიოში.

2004 წლისთვის „გაზპრომი" ბუნებრივი აირის ერთადერთი მიმწოდებელი იყო როგორც მინიმუმ ბოსნია-ჰერცეგოვინას, ესტონეთის, ფინეთის, ლატვიის, ლიტვის, მოლდოვისა და სლოვაკეთისთვის, ასევე 97% ბულგარეთის, 89% უნგრეთის, 86% პოლონეთის, 75% ჩეხეთის, 67% თურქეთის, 65% ავსტრიის, „40% რუმინეთის, 36% გერმანიის, 27% იტალიის, 25% საფრანგეთის. ევროპის კავშირი საკუთარი გაზის მარაგის 25%-ს გაზპრომისგან იღებს. 31 მილიარდი დოლარის ოდენობის გაყიდვით 2004 წელს „გაზპრომს" რუსეთის ბუნებრივი აირის წარმოების 93% წილი აქვს, ხოლო 28.800 კ$მ^3$ რეზერვებით ის განკარგავს მსოფლიო გაზის რეზერვების 16%-ს (2004 წლის მონაცემებით).

ნავთობის კამპანია „სიბნეფტის" შესყიდვის შემდეგ „გაზპრომი" 119 მილიარდი ბარელი ნავთობის რეზერვით მხოლოდ საუდის არაბეთსა და ირანს ჩამორჩება, როგორც ნავთობისა და ნავთობის ექვივალენტური ბუნებრივი გაზის მსოფლიოს უდიდესი მფლობელი. გაზის რეზერვებისა და მსოფლიოში ყველაზე გრძელი გაზსადენის ქსელის (150.000 კმ) გარდა კომპანია ფლობს აქტივებს საბანკო, სადაზღვევო, მედიის, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო სფეროებში. საბაზრო კაპიტალიზაციით პარამეტრებით, „გაზპრომი" მსოფლიოს სიდიდით მესამე კორპორაციაა.

## ცფვუქჯდბფჲჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



მეუღლე ნანა, შვილები გია, ლიკა შენგელიები, სიძე გია ჯოხაძე, შვილიშვილები მარიამი, სალომე ჯოხაძეები, დები ლია და ლამარა შვილებით, სიძე ზურაბ ეზიაშვილი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იური დავითის ძე შენგელია**

პანაშვიდი: 20, 21 მარტს, 16 საათიდან.

დაკრძალვა: 22 მარტს, 14 საათზე.

პანაშვიდი და გამოსვენება შედგება წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიიდან.

მისამართი: ხილიანის ქუჩა (ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორია).

---

**ქეთევან (გუგული) ბურჯანაძის მოგონება**

გუგული მამიდა, დღეს თქვენი გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა, გამოირჩეოდით იშვიათი პიროვნული თვისებებით, სათნოებით, პატიოსნებით, კეთილშობილებით. ვიმედოვნებთ, თქვენი ოჯახის წევრებთან უფლის სამყოფელში გაერთიანდებით. ყველასათვის საყვარელო ადამიანო, უფალი დაგიმკვიდრებთ სასუფეველს.

*აზა, დოდო, იზა, სოფო, ანდრო, ბორია ბურჯანაძეები*

---

მეუღლე აზა თედორაძე, შვილები გელა, დათო, რძლები ლოლიკო რაფავა, ეკა იზორია, შვილიშვილები რომა, აზა, დათო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**როინ კოკაია**

პანაშვიდი: 20, 21 მარტს, 17 საათზე, ვარკეთილი, II მიკრო, ზემო პლატო, კორპუსი 1.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 22 მარტს, 14 საათზე, საბურთალოს პანთეონი, წმინდა ნინოს ტაძრიდან.

---

ცოლიძმა ნუგზარ თედორაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სიძის

**როინ კოკაიას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

პეტრე ბერაია, ზურაბ ჭკუასელი, დათო პაპუნაშვილი, გია ბერულავა, დავით ზეიკიძე, ტარიელ ღვაბერიძე, რომან გვენცაძე, ზურაბ კალანდარიშვილი, გოგი ჭალაგანიძე, ლერი ურუშაძე, ჯიმი პაპავა, ლევან პაპავა თანაუგრძნობენ თორნიკე გულუას, თენგიზ გობეჩიას უახლოესი ნათესავის

**თენგიზ შოგირაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ეთერ შენგელია, მარინა და მანანა ბასილაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დიდებული ქალბატონის

**ნინო (ნინელი) ბასილაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის დედას, მეუღლეს, შვილებსა და ძმებს.

ცფვუქჯდბფჲჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7
რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

# ევრაზიის კავშირის" სამომავლო პერსპექტივებზე მსჯელობა მიმდინარეობს

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ტელეარხ „როსია 24"-თან საუბრისას გააკეთა.



— ჩვენ ამჟამად მხოლოდ ვაკვირდებით ამ ეკონომიკურ წარმონაქმნს, — განაცხადა იანუკოვიჩმა და აღნიშნა, რომ უკრაინა მიესალმება დსთ-ს ქვეყნების გადაწყვეტილებას ამ არც თუ ისე იოლი ნაბიჯის გადადგმის შესახებ.

ამავე დროს, მისივე თქმით, უკრაინა დღეს არ არის მზად იმისათვის, რომ კონკრეტული პასუხი გასცეს ამ სტრუქტურაში ინტეგრირების კითხვას. უკრაინა ევრაზიის ეკონომიკურ თანამშრომლობის თანამეგობრობის ფორმირების პროცესიდან ხუთ წელზე მეტია ამოვარდინილია. ჩვენ ძალიან უკან ვართ, იმისათვის რომ ამ პროცესში შემოვიდეთ, ჩვენ არ გვესმის თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს, ჩვენ არ გვესმის პირობები, — განაცხადა იანუკოვიჩმა.

მისივე თქმით, უკრაინამ ძალიან ბევრი დრო დაკარგა და დღეს მას არ გააჩნია ინფორმაცია ამ გაერთიანების საქმიანობის შესახებ. მას ასევე არ მიუღია მონაწილეობა იმ დოკუმენტების მომზადებაში, რომლებიც ევრაზიის ეკონომიკურ თანამშრომლობის თანამეგობრობას დაედო საფუძვლად.

მისივე განცხადებით, ჯერჯერობით არ ისაა გარკვეული თუ როგორ აისახება ამ კავშირში რუსეთის, შემდეგ კი ყაზახეთის წევრობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან მიმართებაში.

ამიტომაც, პრეზიდენტის თქმით, მანამ ვიდრე რაიმე სახის გადაწყვეტილებას მიიღებდეს, უკრაინას სურს ნახოს პირველი შედეგი ამ კავშირის საქმიანობისა და იმისა, თუ როგორ აისახება ეს იმ სახელმწიფოების სუვერენიტეტზე რომლებიც მისი წევრები არიან.

— ინტეგრაციის გზაზე რომ ვიაროთ ამისათვის საფუძველი უნდა გვქონდეს. საფუძველს კი კერ ჯერობით ვერ ვხედავთ. ბრმად წავიდეთ? თან ისე რომ არ გვეცოდინება რას ვაკეთებთ?, — განაცხადა იანუკოვიჩმა და აღნიშნა, რომ უკრაინის ყველა მეზობელსა და მეგობარს, რომლებმა ამ კავშირში გაერთიანება გადაწყვიტეს წარმატებას და კარგ შედეგებს უსურვებს.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის ბოლოს რუსეთის, ბელორუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტებმა მოსკოვში ევრაზიის ეკონომიკური ინტეგრაციის დეკლარაციას მოაწერეს ხელი. ევრაზიის კავშირი, სავარაუდოდ, 2015 წელს შეიქმნება. დეკლარაციის დოკუმენტში გაცხადებულია იმ ქვეყნების სწრაფვის შესახებ ევრაზიის კავშირში, რომლებიც საბაჟო კავშირში უკვე გაწევრიანებულნი არიან და ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას აპირებენ.

ევრაზიის კავშირის შექმნის იდეა და კავშირის მსოფლიოს ერთ-ერთ პოლუსად ფორმირების სურვილი რუსეთის ხელახლა არჩეულ პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს ეკუთვნის. ხოლო დიმიტრი მედვედევის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ევრაზიის კავშირი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებს დაექვემდებარება და მისი კარი ნებისმიერი მსურველისათვის ღია იქნება.

— ჩვენ ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგით ევრაზიის ეკონომიკური კავშირის შესაქმნელად. ეს არის გაერთიანება, რომელიც, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნების მომავალს, — განაცხადა მედვედევმა დოკუმენტზე ხელის მოწერის შემდეგ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**სამშაბათი 20 მარტი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.45** საფეხბურთო მიმოხილვა **13.50** დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" **15.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **17.00** მედ-ინფო **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერ. **"მეორე შანსი"** **21.00** სერ. **"ზღვარს მიღმა"** **22.00** დიალოგი დავით პაიჭაძესთან **23.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.40** მხ. ფილმი **"ავარია"** (12) (კ. რასელი) **01.20** მოამბე **01.40** მხ.ფ. **"შეწყვეტილი ცხოვრება"** (18) (ა.ჯოლი) **03.55** მხ. ფილმი **"სამახსოვრო დღიური"** (15)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 14.00** დოკ. ფილმი **16.00, 17.00** დოკ. ფილმი **19.00** სერ. **"ხუთი და"** **20.00** მხ. ფ. **"ჰენრი მერვე"** **01.00** მხ. ფ. **"შიშის ფასი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"დედის გული"** **11.00** სერ. **"კლონი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.30** ვანოს შოუ **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** **19.50** სერ. **"სახლი მეზობლად"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** შიშის ფაქტორი **00.00** შუა დღე **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (ტიტ.)

**07.30** იმედის დილა **10.05** სერ. **"მოპარული ბედნიერება"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"ქალის სიტყვა"** **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. **"ღვინის გზა"** მე-7ს. **15.40** ღამის შოუ (გან.) **17.40** სერ. **"ევა ლუნა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** მე-2ს. **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.40** თბილისი ლაივი **00.50** მხ. ფ. **"ვარსკვლავის დაბადება"** (ჰ. დაფი) **03.00** მხ.ფ. **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. საიფრიდი) **04.35** მხ. ფილმი **"მოგზაური"** (18) (დ. არკეტი)

**08.00** ან. ფილმი **08.55** სერ. **"მარია ემილია"** **10.00** მხ. ფილმი **12.00, 15.15, 17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** მხ. ფილმი **17.10** სერ. **"ველური მთვარე"** **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **21.00** სერ. **"ჯაშუში ქალი"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა **02.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერ. **"სიამაყე"** **10.30** დოკ. ფილმი **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.00** "დრო" **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"ქალი გაიცნობს"** **12.50, 19.35** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **15.15** სერ. **"სიამაყე"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **21.00** ზღაპრის კონა **23.00** დოკ. ფილმი "ისინი" **23.40** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** სიახლენი **10.40** დოკ. ფილმი "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" **11.25** საღვთისმეტყველო საუბრები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** **13.35** კონცერტი — ნუნუ გაბუნია **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** დოკ. ფილმი "წერილი ძმას" **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.15** კონცერტი — თათია შარანგია-შევარდნაძე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.20** დიდ ხარ შენ უფალო **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** დროის ჩანაწერები **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"წითელი ბუშტი"** **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** კონცერტი — პლაჩიდო დომინგო და პატრიცია კაასი.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 marti


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6678

ევრო —2,2122

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6518

რუსული რუბლი — 0,0561

## ამინდის პროგნოზი 20 მარტისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 1-5, ღამით — -4 -1

**დასავლეთ საქართველო:** წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2-4, ღამით — -3-0

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 0-3, ღამით — -5 -2






# 20 მარტიდან

# ახალ თაობასთან

# ერთად!

# .eh,fy cfblbc

# ცნობილი რომანი

# ფჯხ ლოფ ყნყჯ

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# 7 მარტიდან!

ექსკლუზივი

„ახალ თაობასთან“ ერთად იყიდება უნიკალური პროექტის „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო — 100 წიგნი“ 21-ე ტომი

# გფუფკბკბ

3!)) ობუყიბ4 იტღბც
ბვ ფღფვბფყსფ ,ბჯუჰფაბტ,ბ7
ჰჯვტჯსფნ ცბღბ hეფჯბ
ცფნჯღტც ვცჯაჯბჯ
გჯჯბნნბhფიბ7 ვტნყბტჰტ,ფცფ
ცფ hეჯნეჰფიბ8

უფპტსბ ლფ ოზუყბ ტჰსფლ
* კფჰბ




## fcnhjgjhjuyjpb

@) ვფჰნბცსღბც

·ღტჯფვ უფბსღფჯბცობყტს=

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ფულს შოულობთ, გახარებული ხართ. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — ახალი საქმე გამოგიჩნდებათ, მოგეწონებათ კიდეც. **კირჩხიბი** — იფიქრეთ ხვალინდელ დღეზე, საქმეს სერიოზულად მიუდექით. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — ახალი საქმე მოგწონთ, ოღონდ იღლებით. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, გადაღლილი ხართ. **ღრიანკალი** — სახლში დიდი სიხარული გელით. **მშვილდოსანი** — თავზე მუშაობა არ გაწყენთ, ასე აჯობებს. **თხის რქა** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **მერწყული** — იმოქმედეთ, არ მოდუნდეთ. **თევზები** — დიდი წარმატება გელით, ამდენს არ ელოდით.

უბცეჰღტ,ს ,ტღყბტჰ ცქტც=

## hჰჯცღჯჰცბ ფ

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი აჭარაში; 2. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 3. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი, კუზიანი კურდღელი; 4. უძრავი ქონებიდან მიღებული რეგულარული შემოსავალი; 5. დარიშხანის საბადო რაჭაში; 6. პირველი კოსმონავტი; 8. ურთიერთდათმობით მიღებული პოლიტიკური ან იურიდიული შეთანხმება; 10. ყოველივე უცხოურის სიყვარული; 11. ჩრდილო-გერმანული ტომები, რომლებიც არბევდნენ ევროპულ ქვეყნებს; 14. ნარკოტიკების წვრილმანი გამსაღებელი აშშ-ში; 15. ფრანგი მექანიკოსი, საქსოვი მანქანის გამომგონებელი; 16. რომაელი პოეტი „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი.

**თარაზულად:** 1. რელიგიური ფერწერის დარგი; 4. გორგოლაჭებიანი კონვეიერი; 7. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 9. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 13. ტროპიკული ხილი; 14. ხელოვნური თმა; 17. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 18. სხვისი რწმენის, აზრების შემწყნარებლობა; 19. იტალიური ვერმუტი; 20. წვრილი ოქროს ჯაჭვი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

